გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

№ 57
(11 819)

20 – 22 ივლისი, 2004 წ.

ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ნომერშია:


- „პეპსი" სპორტს უმეგობრდება



- ამაგი – საქართველოსათვის
- „მაიას თასის" მოლოდინში



- სტრელცოვის ცხოვრება და ტრაგედია
- როგორ იწყებოდა ლატვიური ფეხბურთი



- ოლიმპიური თამაშების წინ...
- საჭადრაკო ამოცანა, კროსვორდი




16-18 ივლისი
2004 წ.

# დევისის თასი

DAVIS CUP by BNP PARIBAS

# საქართველო – ეგვიპტე

## ევრო-აფრიკული ზონის მეორე ჯგუფი

## 3:2 ვაჯობეთ სტუმრებს

აშკარად გაამართლეს ლეილა მესხის, სპონსორებისა და გულშემატკივრების იმედები ჩვენმა ჩოგბურთელებმა, რომლებიც ამ დღეებში ევრო-აფრიკული ზონის მეორე ჯგუფში საკუთარ კორტებზე დაუპირისპირდნენ ეგვიპტელთა ნაკრებს. შეჯიბრების პირველსავე დღეს ერთეულთა თანრიგში ჩვენები დაწინაურდნენ — 2:0. ირაკლი უშანგიშვილმა მოუგო მუჰამედ მაამოუნს — 1:6, 6:4, 7:6, 7:5, ირაკლი ლაბაძემ კი ქარიმ მაამოუნს სძლია — 6:3, 6:3, 6:2. მეორე დღეს წყვილთა შეხვედრაში ირაკლი ლაბაძე — ლადო ჩიხლაძის დუეტმა ასევე ადვილად აჯობეს ძმების ქარიმ და მუჰამედ მაამოუნების წყვილს — 6:3, 6:2, 6:2. ასპარეზობის ბოლო მესამე დღეს გადამწყვეტი აღარ ეთქმოდა, რადგან ეს შეხვედრები, ფაქტობრივად, აღარაფერს წყვეტდა. იქნებ ამიტომაც ჩვენებმა თავი მაინცდამაინც არ გამოიდეს, ან იქნებ ჩიხლაძე დაიღალა კიდეც და დავით კვერნაძეს კი გამოცდილება არ ეყო, მათ ერთეულთა ორივე მატჩი დათმეს. ლადო ჩიხლაძემ წააგო ომარ ჰიდაიეტთან — 3:6, 2:6; დავით კვერნაძემ მუჰამედ მაამოუნთან — 4:6, 3:6. ამრიგად, ამ წარმატებით, ქართველმა ჩოგბურთელებმა მეორე ჯგუფში ადგილი კიდევ ერთი წლით დაინარჩუნეს.

ც. ბაქრაძე.



თამაშობს ლადო ჩიხლაძე

## თემა განსჯისათვის

# აკი, ერთხელ უკვე დაიგმო...

„ბრძოლა წესების გარეშე" კვლავ გაჩნდა ჩვენს ქვეყანაში. ტარდება შეჯიბრებები, რაც ეწინააღმდეგება სპორტში ჰუმანიზმის პრინციპებს. „გაჩნდაო", – ვამბობთ იმიტომ, რომ რამდენიმე წლის წინათ, იგი ევროპაშიც აიკრძალა და ჩვენშიც. მოვუხმოთ დოკუმენტებს. 1998 წლის ევროპის სპორტის მინისტრთა შეკრებაზე აღიარეს, რომ თუ საზოგადოებაში ძალადობა უნდა მოისპოს, საჭიროა მასთან ბრძოლა ყველა დონეზე. ევროპის საპარლამენტო ასამბლეამ №963 რეკომენდაციაში მიუთითა, რომ „ბრძოლა წესების გარეშე" უსამართლოდ იღებს მხარდაჭერას მისი ინიციატორების მიერ, როგორც აღმოსავლური ორთაბრძოლების ერთ-ერთი სახეობა. მაგრამ, ფაქტობრივად, სპორტისა და აღმოსავლური ორთაბრძოლებისაგან განსხვავებით, მისი რეგულირება არ ხდება შესაბამისი წესების საფუძველზე.

ევროპის მინისტრთა კომიტეტის 1999 წლის 22 აპრილის 669-ე შეკრების გადაწყვეტილებისა და ევროსაბჭოს წესდების მე-15 მუხლის პრაქტიკულად განხორციელებისთვის, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა საგანგებო ბრძანება გამოსცა, რომელშიაც ვკითხულობთ: „რეკომენდაცია მიეცეს საქართველოს სპორტულ ფედერაციებს, სპორტულ ასოციაციებს, საბრძოლო ხელოვნებათა საკოორდინაციო საბჭოს, სპორტულ კლუბებს, სამოყვარულო სპორტულ გაერთიანებებს, სპორტულ საზოგადოებებს და სპორტულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს ყველა აუცილებელი ღონისძიება გაატარონ ისეთი თავისუფალი შეჯიბრებების აკრძალვისათვის, როგორიცაა „ბრძოლა წესების გარეშე". არ დაუშვან ძალადობის და სხვა არასპორტულ-ეთიკური ქმედებანი."

ეტყობა, ჩვენში აკრძალვებს ჯერ კიდევ არაფრად დაგიდევენ. არადა, „ბრძოლა წესების გარეშე" ისევ გვიტევს... აკრძალული ილეთებით!

მიმომხილველი

# პირველები ევროპაში

### ასეთ მაღალ წარმატებას მიაღწია ჩვენმა ახალგაზრდულმა გუნდმა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში უფროსი მწვრთნელის ვლადიმერ ადეიშვილის ხელმძღვანელობით



მალხაზ სოლომონიძე

ამ ასპარეზობაზე, რომელიც სლოვენიაში ჩატარდა, ევროპის საუკეთესო გუნდებთან ჭიდილში საქართველოს ნაკრებმა პირველობა არავის დაუთმო და კონტინენტის ჩემპიონი გახდა თანატოლთა შორის, უკან ჩამოიტოვა ისეთი სახელოვანი ტრადიციების ქვეყნის წარმომადგენლებიც კი, როგორიცაა რუსეთი.

ამ წარმატებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ბათუმელმა ახალგაზრდა ფალავნებმა, რომელთაგან მალხაზ სოლომონიძე (50 კგ) და ომარ ბაკურაძე (66) ევროპის ჩემპიონები გახდნენ, ბრინჯაოს მედალი კი წილად ხვდა ოთარ ფევაძეს (74), მეორე პრიზიორი გახდა ოზურგეთელი ლაშა ლომაძე (60).

გუნდს გარდა ვლადიმერ ადეიშვილისა, ახლდა მწვრთნელი ვილი ხაზაროვი და მსაჯი ედიშერ მაჩაიძე.

„ჩვენი ახალგაზრდების წარმატება ახლა, ათენის ოლიმპიადის წინ განსაკუთრებით სასიხარულოა, რადგან, ფაქტობრივად და პარალელურად ჩვენ უკვე ვემზადებით და მწვრთნელები მთელი ენერგიით მუშაობენ 2008 წლის პეკინის ოლიმპიური თამაშებისთვის საიმედო რეზერვის მოსამზადებლად. ამ გუნდის წევრები კი სწორედ მომავალ ოლიმპიელებად მოიაზრებიან" – უთხრა „ლელოს" კორესპონდენტს საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ომზარ შოშიტაშვილმა (საკუთარი ინფორმაცია).



ომარ ბაკურაძე



ლაშა ლომაძე



ოთარ ფევაძე

## ფრთხილად!!!

საქართველო წყლის სიუხვით გამორჩეული ქვეყანაა. ზაფხულის ცხელ დღეებში სხვადასხვა ასაკის ადამიანები, განსაკუთრებით, მოზარდები აზარტულად ეტანებიან წყლის სამყაროს.

გახსოვდეთ! წყალი უბედურების მომტანი სტიქიაცაა. ნუ იბანავებთ წყალსაცავებში, მდინარეებში, რეზერვუარებში, ზღვასა და ტბებზე, თუ დარწმუნებული არ ხართ სიღრმეში, თუ არ ფლობთ ცურვას.

იყავით ფრთხილად, ნუ გაუთამამდებით წყალს, გახსოვდეთ – წყალს უთქვამს: „ჩემი ლუკმა თამამები არიანო"!

მივმართავთ წყალზე ზედამხედველებს, გამოიჩინეთ მოჭარბებული ყურადღება, რათა ცურვის უცოდინარობას, რომელთა რიცხვში განსაკუთრებით ჭარბობენ მოზარდები, არ შეეწიროს ადამიანების სიცოცხლე.

მშვიდობიან ზაფხულს გისურვებთ, წყლის მოყვარულებო!

საქართველოს სპორტის საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაცია.

## სავარჯიშო მეხსიერებისათვის



გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, თბილისში დიღმის ტყე-პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე თბილისი-ვლადიკავკაზის საავტომობილო ტრასის მარჯვენა მხარეს, რამდენიმე ჰექტარი ტერიტორია გამოიყო ქართველ სპორტსმენთა ხეივნის გასაშენებლად. სუფევდა დიდი ენთუზიაზმი. სპორტის ცალკეულმა სახეობებმა შეარჩიეს თავიანთი სავანე, მათ შორის მოფარიკავეებმა. სურათზე თქვენ ხედავთ თუ როგორ რგავენ პირველ ნერგს თავიანთ ხეივანში წარსულში ცნობილი მოფარიკავეები ზინაიდა კვერენჩხილაძე და რევაზ ცირეკიძე. მერე დრო აირია. იმ ადგილს ხარბად შეესიენ და მიწის ფართობი უკანონოდ საკუთრებაში აქციეს, ვინ რამდენი და ვინ რამდენი დაიტაცა.

ის, რომ ტერიტორია სპორტსმენებს ეკუთვნოდათ, არავის გახსენებია. უფრო სწორად, ყველამ ოსტატურად აუარა გვერდი მთავრობისა და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის დადგენილებას, რომლის ძალითაც ტერიტორია სპორტის დეპარტამენტს გადაეცა.

## ნესტორ ესებუას 140 წლისთავისათვის

რუსთაველის საზოგადოების გადაწყვეტილებით და თაოსნობით, 26 სექტემბერს, წარსულში ცნობილი ქართველი ფალავნის ნესტორ ესებუას მშობლიურ სენაკში ჩატარდება ამ სახელოვანი მოჭიდავის დაბადებიდან 140 წლისთავისადმი მიძღვნილი ქართული ჭიდაობის დიდი ფესტივალი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მოჭიდავეები. სპონსორთა დახმარებით და ხელშეწყობით გათამაშდება ძვირფასი პრიზები. ამ ღონისძიების ჩატარებას, რუსთაველის საზოგადოებაში მიეძღვნა ორგანიზატორთა და ცნობილ ვეტერან ქართველ ფალავანთა ერთობლივი შეხვედრა, სადაც გამოითქვა კონკრეტული წინადადებები ფესტივალის მაღალ დონეზე ჩატარებასთან დაკავშირებით.



ნესტორ ესებუა

ი. კალანდია

# ამაგი – გაწეული საქართველოსთვის!

საქართველოში თანამედროვე ხუთჭიდის ჩასახვა-განვითარების ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერა სპორტის ამ რაინდული სახეობის რამდენიმე ჭეშმარიტი შემოქმედის სახელი. ერთი მათგანია იური მურომცევი, რომელსაც დღეს დაბადებიდან 70 წელი უსრულდება. იგი ერთ-ერთ უძლიერეს სპორტსმენად ითვლებოდა მთელ საბჭოთა კავშირში. მაგრამ, რაც მთავარია, საქართველოში სპორტის ამ სახეობის დანერგვის სათავეებთან მდგომი ეს პიროვნება, გამოირჩეოდა საუკეთესო ადამიანური ღირსებებით, განსაკუთრებით, გულღიაობით და იუმორით.



*1956 წელი. თანამედროვე ხუთჭიდში საბჭოთა ოლიმპიური ნაკრების კანდიდატები.*
*მარცხნიდან – ი. მურომცევი, ა. პევცოვი და ვ. როგავა.*

თანამედროვე ხუთჭიდს ადრე ოფიცერთა ხუთჭიდი ერქვა და, ბუნებრივია, მისი დანერგვა უპირატესად არმიის სპორტულ კლუბებში დაიწყო. ი. მურომცევი 1956 წლის დასაწყისში აღმოაჩინეს სომხეთის მთიან სასაზღვრო საგუშაგოს რაზმში, ამიერკავკასიის ჯარის ამ სახეობის ფიზმომზადების შტაბის უფროსმა, საქართველოში ცნობილმა ძალოსანმა ვ. სვეტილკომ და საქართველოს მრავალგზის ჩემპიონმა ცურვაში, ოფიცერმა ა. პევცოვმა. პევცოვმა რ. მანჯავიძესთან და ი. მიხაილიცკისთან ერთად მალე სსრ კავშირის ჩემპიონატშიც იასპარეზა. ჩვენი გუნდი მეორე ადგილზე გავიდა, მურომცევი კი მესამე იყო პირად ჩათვლაში. მანჯავიძის, პევცოვისა და მიხაილიცკის შემდეგ მურომცევი მეოთხე იყო, ვისაც სპორტის ამ სახეობაში მიენიჭა სპორტის ოსტატის წოდება. 8 წლის შემდეგ, 1964 წელს ი. მურომცევმა თვით ლეგენდარულ იგორ ნოვიკოვს გაუსწრო და საბჭოთა ნაკრებში პირველობა მოიპოვა გერმანიის დიდ საერთაშორისო ტურნირში. აქ კი იგი უკვე პირველი იყო, ვინც საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება მიიღო საქართველოდან. ამ პერიოდიდან დაიწყო აღმავლობა ჩვენში თანამედროვე ხუთჭიდმა. ახალ თაობას დიდ სტიმულს და პირად მაგალითს აძლევდა ჯარისკაცობიდან უკვე საქართველოს სპორტის სამსახურში ჩამდგარი იური სერგეის ძე. თბილისში აიღო საშუალო სკოლის ატესტატი და აქვე დაასრულა ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, წარმატებით ასპარეზობდა ფარიკაობაშიც (დაშნა). იყო „დინამოს“ მოფარიკავეთა საკავშირო ჩემპიონატის ფინალისტიც კი. აღარაფერს ვამბობ საქართველოს შეჯიბრებებში მიღწევებზე. 1964 წელს სულ ცოტა დააკლდა, საბჭოთა ნაკრებში დაემკვიდრებინა ადგილი ტოკიოს ოლიმპიადაზე.

მერე იყო სამწვრთნელო ასპარეზი. ი. მურომცევის პირადი მონაწილეობით მომზადდა „დინამოს“ და საქართველოს ნაკრების სპორტსმენთა მთელი პლეადა, – სსრ კავშირის, ევროპის და მსოფლიო ჩემპიონები. გვევლინებოდა შეჯიბრებების ორგანიზატორად, მსაჯობდა, მათ შორის მოსკოვში, ოლიმპიადაზე.

სამი ათეული წლის შემდეგ გადასახლდა მშობლიურ ბელარუსში. იქაც წამყვანი მწვრთნელი გახდა. საქართველოსთან კავშირი კი არ გაუწყვეტია. ხშირად იწვევდა შეკრება-შეჯიბრებებზე ჩვენს ხუთჭიდელებს. შსს მაიორი იური მურომცევი ამჟამად პენსიონერია, მაგრამ იგი კვლავ რჩება დიდ სპეციალისტად, დიდ პიროვნებად...

საქართველოს ვეტერანი და ყველა თაობის თანამედროვე ხუთჭიდელები, საქართველოს ეროვნული ფედერაცია გულწრფელად ულოცავს დაბადებიდან 70 წლისთავს ყოველმხრივ ბრწყინვალე პიროვნებას იური მურომცევს.

პირადად მე კი, ჩემო იური, ბედს ვემადლიერები, რომ შენი სახით მარგუნა მარადიული მეგობარი სპორტსა და ცხოვრებაში.

ვალერიან როგავა,
საქართველოს თანამედროვე ხუთჭიდისა და ტრიატლონის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი.

## საქართველოს ოლიმპიური ეპოპეა

ეს ჩვენი ისტორიაა

### უიმედო 1999

სიდნეიში 2000 წლის ოლიმპიური თამაშების სალიცენზიო ტურნირების ჩატარება პირველმა ტყვიის სროლის საერთაშორისო ფედერაციამ დაიწყო. ჩვენმა ცნობილმა ჩუბინმა ნინო სალუქვაძემ, რომელიც სეულში ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი გახდა, სიდნეის საგზური საქართველოდან პირველმა დაიმსახურა. მალე უკვე გამოცდილმა წყალმხტომელმა ნანა ნებიერიძემ მიაღწია ანალოგიურ წარმატებას. 1999 წლის ივლისის ბოლოსთვის კიდევ ორით გაიზარდა საქართველოდან ლიცენზიანტთა რიცხვი. ეს შესძლეს მშვილდოსნებმა ხათუნა ქვრივიშვილმა და ხათუნა ფუტკარაძემ მსოფლიო მე-40 ჩემპიონატზე, რომელიც სასტარტო სალიცენზიო ასპარეზობა იყო.

ამასობაში ვის როგორ შეეძლო, ისე ემზადებოდა ოლიმპიადისთვის. მაგრამ ვერ ვიტყვით, ვის როგორ შეეძლო ისე ეხმარებოდა ოლიმპიელებს. ამის სურვილიც არ იყო. 1999 წლის აგვისტოში ქართულ სპორტში სრული ქაოსი სუფევდა. „ლელო“ იმ პერიოდში ყოველი თვის საუკეთესო სპონსორს ავლენდა. აგვისტო გამონაკლისი იყო — თვის საუკეთესო სპონსორი არ გამოვლენილა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ყველამ ხელი ჩაიქნია. ეს, კარგს, ცხადია, არც საქართველოს ოლიმპიურ მოძრაობას უქადდა.

კარს იყო მომდგარი XX საუკუნის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენების, გუნდების, მწვრთნელების, სპორტის მოღვაწეთა გამოსავლენი ღონისძიება. ეს დამთხვევა შექმნილ რთულ სიტუაციაში სიმბოლურადაც მოჩანდა იმდენად, რამდენადაც ყველას შეახსენებდა ქართული სპორტის წარსულს და აიძულებდა დაფიქრებულიყო აწმყოსა და მომავალზე. საერთო ინერტულობამ ყველა დააფიქრა. შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს ქართული სპორტის წინააღმდეგ შეთქმულება ვიღაცის უხილავი ხელით იმართებოდა. სამიზნედ კი ყოველთვის სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი მოიაზრებოდა. ხელისუფლების ზედა ეშელონებში გამომქომაგებელი არავინ გამოჩნდა, ცეცხლზე ნავთის დამსხმელი — რამდენიც გინდა. ბევრს ალბათ კარგად ახსოვს და არც არასდროს დაავიწყდება ერთ-ერთი სოლიდური პარტიის ლიდერის გამოსვლა, რომელმაც ქართული სპორტის მესვეურები ისე მოიხსენია, თითქოს ისინი იყვნენ ქართული სპორტის დამაქცევარნი და უცხოეთში დროის სატარებლად დადიოდნენ სახელმწიფო ხარჯზე.

სწორედ ამ გამოსვლას დაემთხვა თვითმფრინავის ბილეთების წინასწარ ასაღებად ფულის გამოყოფაზე ხაზინის ცივი უარი ტანმოვარჯიშეებისთვის, რომლებიც სალიცენზიო ტურნირებზე მიემგზავრებოდნენ ჩინეთსა და იაპონიაში. საბოლოოდ, შეკვეცილი ნაკრები მაინც გაემგზავრა ჩინეთში, სადაც მსოფლიო პირველობა ჩატარდა სპორტულ ტანვარჯიშში. მონაწილეობას უშედეგოდ არ ჩაუვლია — შინ ოლიმპიური ლიცენზიით ხელდამშვენებული დაბრუნდა ილია გიორგაძე.

1999 წლის ოქტომბერში საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნის 10 წლისთავი შესრულდა. ამ ღირსსახსოვარ თარიღთან დაკავშირებით სეოკ-ის საიუბილეო სესია გაიმართა „შერატონ მეტეხ-პალასში“. მოიწვიეს სტუმრები უცხოეთიდან. ორი მნიშვნელოვანი მოვლენა — სეოკ-ის 10 წლისთავი და საქართველოს სპორტულ სამყაროში XX საუკუნის ლაურეატთა გამოვლენა-დაჯილდოება ერთ ღონისძიებად გაერთიანდა. მთავრობის მაღალი ჯილდო — ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენი მიენიჭათ ნონა გაფრინდაშვილს, მიხეილ მესხს (სიკვდილის შემდეგ) და ვიქტორ სანეევს, ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენით დაჯილდოვდნენ — ნინო დუმბაძე (სიკვდილის შემდეგ), გივი კარტოზია (სიკვდილის შემდეგ) და ნინო სალუქვაძე. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის 10 წლისთავთან დაკავშირებით, ოლიმპიური კომიტეტის დაფუძნებაში, სპორტის ეროვნულ სახეობათა განვითარებაში, ოლიმპიზმის იდეების პროპაგანდაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის ოლიმპიური მოძრაობის აქტიური მონაწილენი დაჯილდოვდნენ ღირსების ორდენებითა და მედლებით.

წლის ბოლოს გაირკვა, რომ საქართველოს ბიუჯეტს საშემოსავლო ნაწილში დააკლდა 100 ათასი ლარი. ამ ფულში, რაღა თქმა უნდა, იყო ის თანხა, რაც სპორტმა ვერ მიიღო, თუმცა ქვეყანას, როგორც უნდა უჭირდეს, ეროვნული ღირსების დაცვა-შენარჩუნების ხარჯზე მომჭირნეობას არ უნდა ეწეოდეს. სპორტი კი ასეთად მიიჩნეოდა და მიიჩნევა ყველა დროში. თუმცა, ძველი და ახალი საუკუნეების მიჯნაზე, საუბედუროდ, ბევრ ღირებულებაზე ითქვა უარი საქართველოში.

თენგიზ ბაჩეჩილაძე

გაგრძელება იქნება

დასაწყ. „ლელო“ №31-39, 41-43, 45, 47, 49, 51, 53 55.

## გამარჯობა, „პეპსი“!

საქართველოში კიდევ ერთი ცნობილი უცხოური ფირმა გამოჩნდა, რომელმაც თავის მოღვაწეობას ამთავითვე დაუკავშირა სპორტის თანადგომა. შპს „იბერიამ“ (გენერალური დირექტორი დავით ლომჯარია) „პეპსის“ ოფიციალურმა ბოთლერმა საქართველოში პირველი ქველმოქმედება მართლაც მადლიანი საქმით დაიწყო – მათ თანადგომა გაუწიეს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების კომპლექსურ სპორტულ ასპარეზობას, რომელიც ამ დღეებში ჩატარდა თბილისში ასევე მადლიანი ადამიანების, მერიის კულტურისა და სპორტის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელების დავით ოქიტაშვილისა და გიორგი უდესიანის, საქართველოს პარაოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარის დავით მაისურაძის მონდომებით. სოციალური რეაბილიტაციის ეს ორდღიანი ასპარეზობა დარტსში, ჭადრაკში, მკლავჭიდში, კალათში ბურთის გდებაში, მაგიდის ჩოგბურთში, შაშში, როგორც იტყვიან, უმაღლეს დონეზე ჩატარდა. თანაც ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ზემოხსენებულმა სამსახურმა 300-მდე მონაწილისთვის ორდღიანი კვება გამოჰყო, „პეპსიმ“ კი ამდენივე ბოთლი თავისი გამაგრილებელი სასმელით მოამარაგა შეჯიბრება. და ამ ასპარეზობაზე პირველად დანერგა სიახლე, ვიხილეთ ასპარეზობის დიასახლისი, რომლის ფუნქცია ბრწყინვალედ შეასრულა ხსენებული სამსახურის თანამშრომელმა მარინე თარხნიშვილმა.

*ახლა გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს. მკლავჭიდი (აბსოლუტური):* 1. ბესო ლეკიაშვილი, 2. ფარჰად აბასოვი; *დარტსი:* 1. ელზა მანჯაფარაშვილი (ქალებში), ხვიჩა ჩაჩანიძე, 2. თამაზ თავართქილაძე, 3. მურმან კალანდია; *მაგიდის ჩოგბურთი:* 1. მილანა აივაზოვა, 2. ნათია კაციტაძე, 3. ვიქტორია არუთინოვა; *ვაჟები:* 1. ჯემალ არაზანაშვილი, 2. თამაზ თავართქილაძე, 3. დავით გეგენავა; *ბურთის კალათში გდება:* 1. ფარჰად აბასოვი, 2. მამუკა ტერტერაშვილი, 3. ბესო ლეკიაშვილი; *ჭადრაკი:* 1. გოგი ჭუმბურიძე, 2. ზურაბ ყალიჩავა, 3. ნიკოლოზ მირონოვი, *შაში:* 1. თამარ ხორბალაძე, 2. ლუბა აბულაძე, 3. მანანა მამულაშვილი; *ვაჟები:* 1. რომან გოგოლაძე, 2. შალვა ყაფლანიშვილი, 3. ჯაბა ჭიოკაძე.



*აჯილდოებს დავით მაისურაძე*



*გოგი ჭუმბურიძე*

*გამარჯვებულს პრიზს გადასცემს გიორგი უდესიანი*

*ფოტოები რობერტ ბაგოიანისა*

## კონსტანტინე (კოტე) გოგელია



ადამიანის განვლილი ცხოვრების ძირითად საზომად საზოგადოებას ორი რამ დაუდგენია: პროფესიონალიზმი და პიროვნული ღირსებები. სწორედ ამ მხრივ უნაკლო კაცი წავიდა ამ ქვეყნიდან 67 წლის ასაკში — კოტე გოგელია.

მის ძმებს, საერთოდ, მის ოჯახს დრომ უმკაცრესი გამოცდა მოუწყო — მამა ომში დაეღუპათ, მთელი სიმძიმე ოჯახში უფროს ძმას გოგის დააწვა დედასთან ერთად. გოგი ფარიკაობას ეუფლებოდა, ძმებიც ამ გზას გაუყენა და მალე მთელმა საბჭოთა საფარიკაო სამყარომ გაიცნო ძმები გოგელიების სახელი. ისინი ენერგიული, გონებამახვილური ფარიკაობით, „დაშნის წვერის შეგრძნების“ გასაოცარი უნარით გამოირჩეოდნენ მეტოქეებისგან.

გასული საუკუნის 50-იანი წლების მეორე ნახევარში კოტე წარმატებას წარმატებაზე აღწევდა რესპუბლიკურ თუ საკავშირო სარბიელზე. იგი პირველი იყო, ვინც ქართველთაგან დაშნით ფარიკაობაში გამოიძახეს საბჭოთა ოლიმპიურ ნაკრებში, როგორც 1956 წლის ოლიმპიადის კანდიდატი. მაშინ საქართველოს ნაკრებმა სსრ კავშირის ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა, რაც უდიდეს წარმატებად ჩაითვალა. ამ გუნდის სულისჩამდგმელი კოტე იყო. მან ღირსეული ადგილი დაიკავა იმ ბრწყინვალე ქართველ მუშკეტერთა კოჰორტაში, რომლებმაც ქართული ფარიკაობა აიყვანეს ახალ სიმაღლეზე და საამაყო ტრადიციების მესაძირკვლედ იქცნენ.

პროფესიულ საქმეშიც, როგორც ყველასგან გამორჩეული სპეციალისტი, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, პოლიტექნიკურ ინსტიტუტდამთავრებული ნიჭიერი გეოლოგი, კუბასა და ალჟირში მიავლინეს. შემდეგ თბილისში მუშაობდა. ბოლოს შავი ზღვის სანაპირო დაცვის საპროექტო ინსტიტუტს ედგა სათავეში.

კოტე გოგელია დაჯილდოებული იყო უნიკალური ადამიანური თვისებებით. მის ღიმილშიც კი ადვილი ამოსაცნობი იყო ის ზღვა სიკეთე, რომლითაც მისი გული და გრძნობები იყო აღსავსე. მას შეეძლო სხვისი ტკივილი გაეთავისებინა და ასევე წრფელად გაეხარა სხვისი სიხარულით. სიკვდილის არ ეშინოდა, მაგრამ არც ის სურდა, თავისი ავადმყოფობით სხვები შეეწუხებინა — ესეც მისი დიდბუნოვნების ერთი ნიშან-თვისება იყო.

ნათელი მოჰფინოს შენს სულს უფალმა, ჩვენო კოტე!

სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი,
საქართველოს ფარიკაობის ფედერაცია.

## გურამ მამულაშვილი



72 წლისა გარდაიცვალა ვეტერანი ნიჩბოსანი და დამსახურებული მწვრთნელი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი გურამ მამულაშვილი.

კანოეთი ნიჩბოსნობაში მცხეთელი ჭაბუკი ბავშვობიდან ჩაება. იყო საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი, წარმატებით მონაწილეობდა სსრ კავშირის პირველობებში. გახდა სპორტის ოსტატი. 1953 წელს შევიდა გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში ფიზიკური კულტურისა და სპორტის სპეციალობით, რომლის დამთავრების შემდეგ ჯერ ფიზაღზრდის პედაგოგად იმუშავა, მერე მცხეთაში დაიწყო მწვრთნელობა, გახდა სანიჩბოსნო სკოლის დირექტორი, სადაც 20 წელიწადზე მეტი თავდადებით ემსახურებოდა მოზარდ ნიჩბოსანთა დაოსტატებას, შემდეგ კომპლექსურ სპორტულ სკოლაში მუშაობდა დირექტორის მოადგილედ სიცოცხლის ბოლომდე.

გ. მამულაშვილს იცნობდნენ აგრეთვე, როგორც მაღალი კვალიფიკაციის მსაჯს. იწვევდნენ საერთაშორისო პირველობებზე, მსაჯობდა მოსკოვის ოლიმპიადის ნიჩბოსანთა შეჯიბრებას. იყო ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც საქართველოში დანერგა „სახალხო ნიჩბოსნობა“.

გ. მამულაშვილი სიკეთით გამორჩეული პიროვნება იყო, იგი საუკეთესო ადამიანურ თვისებებს უნერგავდა შეგირდებს. ბედმა ისე ინება, რომ ძმა ადრე დაეღუპა და მის შვილებს ზრდიდა, თავად კი ოჯახი არ შეუქმნია.

შესანიშნავი სპეციალისტის და შესანიშნავი პიროვნების, კოლეგისა და მეგობრის ნათელი ხსოვნა არასდროს წაიშლება ჩვენი მეხსიერებიდან.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონული სპორტის სამმართველო, მცხეთის რაიონის გამგეობა, ნიჩბოსნობის ეროვნული ფედერაცია.

პანაშვიდი 20,21-07; გამოსვენება 22.07, 15 სთ-ზე მცხეთაში.

საქართველოს ნიჩბოსნობისა და კანოეს ეროვნული ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ვეტერანი ნიჩბოსანი და საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, სპორტის ოსტატი

გურამ მამულაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

№7
გაზეთ „ლელოს" საჭადრაკო დამატება

# მაია ჩიბურდანიძის სახელობის თასის გათამაშების მოლოდინში

*ჭადრაკის მოყვარულებისათვის ცნობილია, რომ წელს პირველად ჩატარდება მსოფლიოს ექსჩემპიონის მაია ჩიბურდანიძის სახელობის თასის გათამაშება, რომელშიც 12 მოჭადრაკე ქალი იასპარეზებს. ტურნირის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელია საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი ქალბატონი ნინო გურიელი. მან ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ აგვისტოს მიწურულს დაიწყება შესარჩევი ტურნირი, სადაც გამოვლინდება მაია ჩიბურდანიძის თასის გათამაშების სამი მონაწილე. სწორედ ეს სამი მოჭადრაკე შეუერთდება პერსონალურად მოწვეულ მოჭადრაკეებს.*

— შესარჩევი ტურნირი შვეიცარიული სისტემით 9 ტურად ტარდება და მასში ყველა მსურველს შეუძლია მონაწილეობა — ამბობს ნინო გურიელი.

● ***რომელმა მოჭადრაკეებმა მიიღეს წინასწარ მაია ჩიბურდანიძის თასის გათამაშებაში ასპარეზობის უფლება?***

— ესენი არიან: საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატის პირველი სამეული — ნანა ძაგნიძე, ლელა ჯავახიშვილი და მაია ლომინეიშვილი, საქართველოს ჩემპიონები 18 და 20 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა შორის — სალომე მელია და მირანდა მიქაძე. მათ დაემატებათ საუკეთესო რეიტინგის მქონე მოჭადრაკე — სავარაუდოდ, ეს ნინო ხურციძე იქნება. გარდა ამისა, ერთი ნომინაცია გადაეცა მაია ჩიბურდანიძეს, — მსოფლიოს ექსჩემპიონი თავად აირჩევს, ტურნირში რომელმა მოჭადრაკემ იასპარეზოს. ორი ნომინაცია კი ჩემს განკარგულებაშია.

● ***თასის გათამაშების ზუსტი ვადები თუ არის დადგენილი?***

— სავარაუდოდ, ტურნირი საჭადრაკო ოლიმპიადამდე უნდა ჩატარდეს და ეს იქნება საკმაოდ კარგი რეპეტიცია ქართველი მოჭადრაკე ქალებისთვის ისეთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო შეჯიბრების წინ, როგორიც საჭადრაკო ოლიმპიადაა. თუ საქართველოს ნაკრებისათვის სპეციალური შეკრება მოეწყობა, მაშინ მაია ჩიბურდანიძის თასის გათამაშება ოლიმპიადის დასრულების შემდეგ გაიმართება.

● ***შეგიძლიათ დაგვისახელოთ ტურნირის საპრიზო ფონდი და სპონსორების ვინაობა?***

— სპონსორთა ვინაობის დასახელებისაგან ამჯერადაც თავს შევიკავებ. რაც შეეხება შეჯიბრების საპრიზო ფონდს, მეტად სოლიდური იქნება. მე მსურს, რომ საპრიზო თანხა ყველა მონაწილემ მიიღოს დაკავებული ადგილების მიხედვით და გულნატკენი არავინ დარჩეს.

● ***სამი მონაწილე ჯერ ცნობილი არ არის... ურიგო არ იქნებოდა, ტურნირი დაემშვენებინა სხვა ქვეყნის წარმომადგენელ ერთ მოჭადრაკეს მაინც...***

— რა თქმა უნდა, თუმცა, ვთვლი, რომ პირველი ტურნირია და საზღვარგარეთიდან მოჭადრაკეთა მოწვევა სირთულეებთან არის დაკავშირებული. მაია ჩიბურდანიძის თასის გათამაშება ტრადიციული გახდება და მინდა, რომ



მომავალ წელს საქართველოდან სხვა ქვეყანაში გადაბარგებული ქართველი მოჭადრაკეები მოვიწვიო, — საუბარია ქეთევან კახიანზე და ქეთევან არახამიაზე...

● ***როგორ შეაფასებთ ამას წინათ ჩატარებულ საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატს?***

— სამწუხაროდ, ჩემი მეუღლის დედის სიკვდილის გამო, ვერ შევძელი დავსწრებოდი ჩემპიონატის ბოლო ტურებს და გამარჯვებულის გამოსავლენ დამატებით მატჩს. ძნელია სხვისი მონაყოლით შევაფასო მატჩი. თუმცა, ვიტყვი ერთს, რომ ნანა ძაგნიძემ დამსახურებულად გაიმარჯვა. ის დაღლილი დაბრუნდა მსოფლიო ჩემპიონატიდან, სადაც 8 საუკეთესო მოჭადრაკეს შორის მოხვდა და საქართველოს ჩემპიონატშიც ძლიერად იასპარეზა. სოლიდურად ითამაშა ლელა ჯავახიშვილმაც.

● ***როგორც შევიტყვეთ, თქვენთვის საჭადრაკო ოლიმპიადაზე, საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ნაკრების კაპიტნობა შემოუთავაზებიათ...***

— დამიკავშირდა მაია ჩიბურდანიძე და მთხოვა გუნდის კაპიტანი ვყოფილიყავი. ვიცი აგრეთვე დანარჩენი მოჭადრაკეების აზრიც და არ არის გამორიცხული, კაპიტნის საპასუხისმგებლო ფუნქცია შევასრულო. სხვათა შორის, ვაჟთა გუნდის კაპიტანი ორჯერ ვიყავი. საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ნაკრების კაპიტანი კი არასდროს ვყოფილვარ და ეს პირველი შემთხვევა იქნება.

ესაუბრა თენგიზ ჩობანიძე

# ვ. გოგლიძის მემორიალი

***თბილისის 147-ე საშუალო სკოლაში ჩატარდა წარსულში ცნობილი ქართველი მოჭადრაკის ვიქტორ გოგლიძის მემორიალი 10 და 14 წლამდელთა შორის.***

**10 წლამდე** ასაკის მოჭადრაკე ბიჭებს შორის პირველი ადგილი 7 შესაძლებლიდან 6 ქულით ილია ზუმბულიძემ (მწვრთნელი — ზაზა ქკუასელი) დაიკავა. გამარჯვებულს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩნენ ირაკლი ბერაძე და კახი წერეთელი. გოგონათა შორის ყველას აჯობა ნათია ჯალაბაძემ (მწვრთნელი — ალექსანდრე ყაშაშვილი), რომელმაც 5 ქულა მოაგროვა. 4,5 ქულით მეორეზე გავიდა ნანა მელაძე, ხოლო მესამე ადგილი წილად ხვდა ელენე მებურიშვილს — 3 ქულა.

**14-წლამდელ** ვაჟებში პირველობა არავის დაუთმო გიორგი გოჯიაშვილმა (მწვრთნელი — ზაზა ქკუასელი), რომელმაც აბსოლუტური შედეგი აჩვენა.

5-5 ქულით მეორე-მესამე ადგილები შესაბამისად გაიყვეს ირაკლი ბერაძემ და ალეკო მერაბიშვილმა.

გოგონებში 10-წლამდელთა ასაკში გამარჯვებულმა ნათია ჯალაბაძემ 4 წლით უფროსებშიც დაიკავა პირველი ადგილი 4,5 ქულით. მან გაუსწრო მარიამ ბლიაძეს და ნანო მარშანიას.

საინტერესოა, რომ ტურნირში ასპარეზობდნენ... მწვრთნელებიც, ოღონდ, არა საჭადრაკო დაფაზე, — მათთვის ქულების დარიცხვა ხდებოდა შეგირდების მიერ ნაჩვენები შედეგების მიხედვით. ამ პრინციპით, პირველ ადგილზე ზაზა ქკუასელი გავიდა, მეორეზე — გივი გოგიჩაიშვილი, ხოლო მესამეზე — ალექსანდრე ყაშაშვილი.

# მწვრთნელი, რომელიც თავად „ერთობა" დედაქალაქის ჩემპიონობით

***ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის სტუმარია ეროვნული ოსტატი გივი გოგიჩაიშვილი***



● ***როგორ დაიწყეთ ჭადრაკის თამაში?***

— 6 წლის ასაკიდან ვთამაშობ ჭადრაკს. ჩემი ჭადრაკზე მისვლა, სხვათა შორის, ზურაბ აზმაიფარაშვილის ფაქტორმა განაპირობა. ჩვენ მე-15 საშუალო სკოლაში ვსწავლობდით. გადავწყვიტე ზურასთვის მიმებაძა და მეც დავიწყე სიარული სპორტსაზოგადოება „სინათლის" ბაზაზე არსებულ კლუბში თემურ ლომაიასთან. ორი წელი ვიარე, მესამე თანრიგი შევასრულე და თამაშს თავი დავანებე...

● ***რა მიზეზით?***

— თქვენ წარმოიდგინეთ, იმ კომუნისტურ ხანაშიც არ იყო კარგი პირობები კლუბში, ზამთარში შენობა არ თბებოდა. გარდა ამისა, მშობლები ჩემგან წარჩინებით სწავლას მოითხოვდნენ საშუალო სკოლაში.

უნდა ითქვას, რომ ჭადრაკის გარეშე მხოლოდ წელიწადნახევარი გავძელი და კვლავ დავიწყე სპორტის ამ სახეობაში მეცადინეობა, — ამჯერად მწვრთნელ არჩილ წერეთელთან. ერთი პერიოდი ალეკო ბოკუჩავაც მავარჯიშებდა და ბოლოს ისევ ძველ მასწავლებელს — თემურ ლომაიას დავუბრუნდი.

1980 წელს, 11 წლისამ პირველ სერიოზულ წარმატებას მივაღწიე. ჯერ თბილისის პირველობაზე დავიკავე მეორე ადგილი, შემდეგ კი საქართველოს ჩემპიონატში ვიასპარეზე და საპატიო მეოთხე ადგილზე გავედი. ჩემპიონი გია გიორგაძე გახდა. იმავე წელს მოვხვდი საქართველოს მოჭადრაკეთა ნაკრებში, რომელმაც ვილნიუსში საკავშირო სპარტაკიადაზე მეხუთე ადგილი დაიკავა. შეგვეძლო, მესამე ადგილის მოპოვებაც, მაგრამ უკრაინელებთან გამანადგურებელი ანგარიშით წავაგეთ. იმ დროს ჩვენს გუნდში თამაშობდნენ გია გიორგაძე, მიხეილ ილიანი, კობა შავგულიძე, გია ბაღათუროვი, კოკა პირაევი, ციალა ქასოშვილი, კატია ფახიროვა...

ამის შემდეგ უფრო თვალსაჩინო გამარჯვებებსაც ვაღწევდი მოსწავლეთა შორის. თუკი გია გიორგაძე მოსწავლეობის ჟამს ოთხჯერ იყო საქართველოს ჩემპიონი, როცა მან სკოლა დაამთავრა, ასპარეზი მე დამრჩა, — სამჯერ დავიკავე პირველი ადგილი მოსწავლეთა შორის საქართველოს პირველობებზე.

1984 წელს უკვე საქართველოს ნაკრების კაპიტანი ვიყავი საკავშირო სპარტაკიადაზე. ჩემს გარდა გუნდში იყვნენ თამაზ ტაბატაძე, ხვიჩა სუპატაშვილი, ნუკრი მანაგაძე, გიგი ჭურღულია, კობა შავგულიძე, ქეთევან არახამია და ქეთევან კახიანი.

ჩვენ მეორე ადგილი დავიკავეთ უზბეკეთის ნაკრების შემდეგ, რომელიც, ფაქტობრივად, ძალით გახადეს ჩემპიონი: ბოლო ტურში აზერბაიჯანელები, რომ იტყვიან, დანებდნენ უზბეკებს — დიდი ანგარიშით წააგეს. სწორედ იმ პერიოდში შევასრულე ოსტატის ნორმატივი. როცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩავაბარე გამოცდები, ჭადრაკს დიდ ყურადღებას ვეღარ ვუთმობდი. ამას დაემატა ისიც, რომ დაიწყო ცნობილი არეულობა და საბჭოთა კავშირიდან გამოყოფის პროცესი. ეკონომიურადაც გამიჭირდა და ჭადრაკისათვის ვეღარ ვიცლიდი, თუმცა, მოგვიანებით, ჭადრაკის მწვრთნელის ფუნქციას შევეჭიდე.

● ***ვინ იყო თქვენი პირველი მოსწავლე?***

— თამაზ გელაშვილი, რომელიც დღეს დიდოსტატი და საქართველოს ოლიმპიური ნაკრების წევრია. გარდა ამისა, ვიმუშავე მერაბ გაგუნაშვილთან, 18-წლამდელთა შორის მსოფლიო ჩემპიონთან სოფიკო გვეტაძესთან, გიგა ყაჭეიშვილთან, ნატო ეძგვერაძესთან, დავით შენგელიასთან, ნიკა შავთვალაძესთან... ეს უკანასკნელი საბერძნეთში ცხოვრობს და საერთაშორისო ოსტატია.

უფრო ახალგაზრდებიდან ჩემს შეგირდებს შორის გამოვარჩევდი ნონა დათუაშვილს, რომელიც 16 წლამდე ასაკის გოგონათა შორის ევროპის პირველობაზე მეორე ადგილზე გავიდა.

● ***თქვენ ძირითადად ინდივიდუალურად წვრთნით მოჭადრაკეებს. ისე, სკოლაში არსად გიმუშავიათ?***

— ამჟამად თბილისის მერიის კულტურისა და სპორტის სამსახურის კომპლექსურ სპორტსკოლაშიც ვმუშაობ პედაგოგად.

● ***ახლა რომელ მოჭადრაკეებთან მუშაობთ?***

— შეგირდებიდან ყველაზე ცნობილი საქართველოს 16-წლამდე ასაკის გოგონათა შორის ჩემპიონი ანა გავაშვილია. ის ბოლო ორი წელია საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ასპარეზობს.

წლეულს დავიწყე მუშაობა ირაკლი ბერაძესთან, რომელსაც ფანტასტიკური მონაცემები აქვს და მას დიდ მომავალს ვუწინასწარმეტყველებ.



*ამ ფოტოს გივი გოგიჩაიშვილი სათუთად უფრთხილდება. ხუმრობა ხომ არ არის, სახელოვან ნონასთან თამაში...*

რვა წლის ირაკლი საქართველოს ჩემპიონი გახდა ათ წლამდელთა შორის და მოიპოვა მსოფლიო პირველობის საგზური, რომელიც მიმდინარე წლის ნოემბერში საბერძნეთში ტარდება. მისმა მშობლებმა სპონსორები გამონახეს და ის ევროპის ჩემპიონატზეც გაემგზავრება, რათა მსოფლიო ჩემპიონატამდე გარკვეული გამოცდილება მიიღოს.

დანარჩენ შეგირდთაგან პერსპექტიული მოჭადრაკეები არიან სანდრო ებრალიძე, ლუკა პაიჭაძე, დათო სამნიაშვილი და სხვები.

● ***თავად თუ გაქვთ ხოლმე სურვილი, მიუჯდეთ საჭადრაკო დაფას ოფიციალურ შეჯიბრებებში?***

— როგორ არა. ბოლო პერიოდში თბილისის პირველობებზეც მითამაშია და წარმატებითაც, — ხუთჯერ გავხდი დედაქალაქის ჩემპიონი. ბოლოს შარშან ვითამაშე: ჩემი მოსწავლეები თამაშობდნენ, მეც ყოველდღე მიწევდა მოსვლა და ასე ვთქვათ, „გავერთე"...

● ***თქვენი აზრით, აუცილებელია თუ არა, ჭადრაკი საშუალო სკოლაში ისწავლებოდეს, როგორც საგანი?***

— აუცილებელია. ჭადრაკი დადებით როლს ასრულებს ბავშვის ჩამოყალიბებაში. შეიძლება ყველა დიდ მოჭადრაკედ არ გაიზარდოს, მაგრამ საჭადრაკო სამყარო მეტად ლამაზი და საინტერესოა, ის უვითარებს ბავშვს გონებას. ჭადრაკი, როგორც დისციპლინა, დედაქალაქის ბევრ სკოლაში ისწავლება. თუკი ეს მასობრივ ხასიათს მიიღებს, ნამდვილად მისასალმებელი იქნება.

● ***დასასრულ, ერთი კურიოზი გაიხსენეთ...***

— ერთხელ შეგირდებთან ერთად გავემგზავრე საჭადრაკო ტურნირში საასპარეზოდ პოლონეთის ერთ-ერთ ქალაქში, რომელიც კალინინგრადთან ახლოს იყო და ჩვენც ამ უკანასკნელს ვეწვიეთ. აღმოჩნდა, რომ კალინინგრადიდან საზღვარი დაკეტილი იყო და უკრაინის შემოვლით გროდნოდან მოგვიწია პოლონეთში გადასვლა. მთავარი კურიოზი კი ის იყო, რომ იმ ქალაქში ტურნირის ჩატარება სულაც არ იყო დაგეგმილი იმ წელს.

# მერი ქებაძე: „იყო დრო, მოდიოდა ხალხი საღამოს 6 საათიდან და ღამის ორ საათამდე ჭადრაკს თამაშობდა"

**სპორტის უჩინარი მუშაკი**

**დაიბადა 1937 წელს ქალაქ თელავში. დაამთავრა ქ. ქუთაისის №4 საშუალო სკოლა. 1977 წელს მუშაობა დაიწყო რესპუბლიკურ ჭადრაკის სასახლეში მოლარედ. იქიდან მოყოლებული სპორტის სამსახურშია. ამჟამად მუშაობს ნონა გაფრინდაშვილის სახელობის ჭადრაკის სასახლეში კომენდანტად. მერი ქებაძის თვალწინ მრავალი ნორჩი მოჭადრაკე აღიზარდა და ეზიარა ჭადრაკის ანბანს, ბევრი მათგანი დიდ მოჭადრაკედ ჩამოყალიბდა.**

● ***ახალგაზრდობაში თავად ჭადრაკს თუ თამაშობდით?***

— სპორტის ეს სახეობა ყოველთვის მიტაცებდა, შეძლებისდაგვარად ვთამაშობდი.

● ***იცნობდით მოჭადრაკეებს?***

— პირადად არა, პრესის საშუალებით. და მათ მიმართ დიდი პატივისცემით ვიყავი გამსჭვალული.

● ***როგორ აღმოჩნდით ჭადრაკის სასახლეში?***

— ახლობლის რჩევით.

● ***რჩევამ გაამართლა?***

— დიახ. ამ სამყაროს გარეშე ცხოვრება ვერ წარმომიდგენია.

● ***მანამდე სად მუშაობდით?***

— ჩემი ჰობი კერვაა და ვკერავდი.

● ***რა გევალებოდათ როგორც კომენდანტს?***

— სასახლის ინვენტარის მეთვალყურეობა. აქ ხშირად იმართებოდა სიმპოზიუმები, ღონისძიებები და მათი უმაღლეს დონეზე ჩატარება.

● ***მოლარიდან კომენდანტი, კომენდანტიდან?..***

— ადმინისტრატორი. სასახლის მთელი ქონება მებარა. მაშინ ამ სასახლეს დიდი ქონება გააჩნდა.

● ***თქვენ თქვით, რომ პრესის საშუალებით იცნობდით მოჭადრაკეებს, მაგრამ მერე ხომ უშუალო კონტაქტში აღმოჩნდით მათთან...***

— ემოცია დიდი იყო. წარმოიდგინეთ, თითქმის ყოველდღე ხედავ ადამიანებს, რომლებთანაც ურთიერთობა საამაყოა და ბევრისთვის საოცნებოცაა. ყველასგან დიდ სითბოს და სიყვარულს ვგრძნობდი.

● ***ადრე ჭადრაკით დაინტერესება როგორი იყო?***

— ძალიან დიდი. 300-კაციან ტურნირებს ვატარებდით. იყო დრო, მოდიოდა ხალხი საღამოს 6 საათიდან და ღამის პირველ-ორ საათამდე თამაშობდნენ.

● ***ახლა რა, ჭადრაკის პოპულარობა დაეცა?***

— არა, მაგრამ ხალხს ეტყობა ხალისი აღარ აქვთ...

● ***მიგიღიათ მონაწილეობა დიდი ჩემპიონატების ორგანიზებაში?***

— თითქმის ყოველთვის. მაია ჩიბურდანიძის ყველა მატჩზე, ვოლგოგრადისა და ბულგარეთის გარდა.

● ***განსაკუთრებული სიმპათიები რომელი მოჭადრაკის მიმართ გაქვთ?***

— ყველა მიყვარს.

● ***რომელ ჩემპიონატს იხსენებთ სიამოვნებით და რომელს გულდაწყვეტით?***

— სადაც წარმატება გვქონდა, ყველა სასიამოვნო იყო, წარუმატებლობა — გულდასაწყვეტი. ძალიან დამწყდა გული, რომ ელისტაში ქალთა ჩემპიონატზე ჩვენებმა თასი ვერ მოიპოვეს.

● ***კურიოზს ხომ არ გაიხსენებდით?***

— ახლახან ერთ-ერთი ტურნირის მონაწილე მოზარდს ვკითხე: — ბები, რამდენი ქულა გაქვს-მეთქი?

— ლარნახევარი, მას! — მიპასუხა.

ესაუბრა
თამუნა ჯანვერდაშვილი

საქართველოს XVI ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

Coca-Cola
მინერალური სპონსორი

# ჩემპიონატის სტარტამდე

XVI ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე სულ სამი დღე დარჩა. კალენდრის მიხედვით პირველობა 23 ივლისს უნდა დაიწყოს დედაქალაქის გუნდების „დინამოსა“ და „თბილისის“ მატჩით. 44 ტური მაისამდე გაიწელება და თორმეტ უმაღლესლიგელ ჩემპიონსაც გამოავლენს, მაგრამ ჩემპიონატის დასაწყისმა შეიძლება გადაიწიოს, მიზეზი პროფლიგის სპეციალური კომისიის დასკვნაა. კომისიამ პროფესიულ ლიგას 21 ივლისამდე უნდა წარუდგინოს ყველა კლუბის შემოწმების მასალები და ხვალე პროფლიგის კონფერენციამ ან უნდა მიიღოს დასამტკიცებლად ან არა. სავსებით შესაძლებელია უმაღლესი ლიგის პირველობა ათმა გუნდმა დაიწყოს, შესაბამისად გაიზრდება პირველი ლიგის გუნდების რაოდენობა, საფუძვლიანად შეიცვლება ორივე ლიგის კალენდრები. კარდინალური ცვლილებების უმთავრესი მიზეზი ისევ და ისევ კლუბების უსახსრობაა, მათ შორის სახელდებიან „რუსთავი“ და „ქობულეთი“. კლუბები, რომლებიც პროფლიგის ელემენტარულ მოთხოვნებსაც ვერ აკმაყოფილებენ. ოთხშაბათი დღე ბევრ რამეს გაარკვევს. უმაღლესი ლიგის კლუბებს ჩემპიონატში მონაწილეობის განაცხადების ჩაბარების თარილები დაუდგინეს და თორმეტივე კლუბმა სწორედ ხვალ, 21 ივლისს, უნდა ამოწუროს პროფლიგაში განაცხადების ჩაბარების სამდღიანი ვადა. პროფესიული ფეხბურთის ლიგის კონფერენციამ კი პასუხი უნდა გასცეს შეკითხვას ვინ და რამდენი გუნდი დაიწყებს საქართველოს XVI ეროვნულ ჩემპიონატს და როდის?

## იაშვილი რუსეთში...

**თბილისის „დინამოს“ ახალგაზრდა თავდამსხმელი სანდრო იაშვილი კლუბის დიღმის საწვრთნელი ბაზიდან კვირას აიბარგა და მოსკოვის გავლით სამარაში ჩაფრინდა. სანდრო რუსული პრემიერლიგის გუნდ „კრილია სოვეტოვში“ გაისინჯება და თუ მწვრთნელ გაჭიევს თავი მოაწონა, სპორტულ კარიერას რუსულ კლუბში გააგრძელებს. იაშვილის სატრანსფერო ფასი უცნობია, თუმცა, ფეხბურთელის მიერ მარიფათის გამოჩენის შემთხვევაში, კლუბებს შორის მოლაპარაკებებს და ქართველ თავდამსხმელთან კონტრაქტის გაფორმებას წინ არაფერი დაუდგება. თუ გარიგება არ შედგება, სანდრო, ალბათ, ისევ „დინამოში“ დაბრუნდება.**

# უკრაინა – საქართველო
## ქართველები ლვოვში დაიბარეს

უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის გდაწყვეტილებით, 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი უკრაინისა და საქართველოს ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის, წლეულს, 13 ოქტომბერს, ლვოვში ჩატარდება. უკრაინელები ოთხი დღით ადრე, ე.ი. 9 ოქტომბერს, ევროპის ჩემპიონებს ბერძნებს კიევში უმასპინძლებენ. ჩვენებურები უკრაინელებამდე მეორე ჯგუფში ორ მატჩს გამართავენ. შესარჩევ ციკლს თურქეთში სტუმრობით დავიწყებთ, მერე კი ალბანეთის ნაკრებს მივიღებთ. სლავებთან მატჩის შემდეგ ქართველები წლევანდელი ციკლის ბოლო მატჩს ისევ თბილისში გამართავენ დანიის ნაკრებთან.

## დიდოსტატის საფეხბურთო და არასაფეხბურთო ქრონიკები

# ედუარდ სტრელცოვის დიდ ფეხბურთში მოსვლის 50 წლისთავი




არ მინდა კატეგორიული ვიყო. თუ მაინც ვიქნები, ამას შეუდარებელი ედუარდ სტრელცოვის საფეხბურთო ხელოვნებისადმი დიდი თაყვანისცემა და უზომო პატივისცემა მაიძულებს.

დიახ! მიმაჩნდა, მიმაჩნია და არც არასოდეს არ შემერყევა ეს რწმენა, რომ ყოფილ საბჭოთა საფეხბურთო სივრცეში ედუარდ სტრელცოვის მსგავსი ფეხბურთელი არ ყოფილა. ის იყო განუმეორებელი და უძლეველი. უნიკუმი.

ათეულობით მატჩი მინახავს მისი მონაწილეობით უშუალოდ სტადიონზე, ტელეეკრანზე. წამიკითხავს მასზე ათეულობით სტატია, წიგნი, ფეხბურთელების, მწვრთნელების, ფეხბურთის სპეციალისტების მოსაზრებანი და შეხედულებები. მისაუბრია მრავალ ფეხბურთელთან და მწვრთნელთან, გულშემატკივრებთან.

დასკვნა ერთია: ედუარდ სტრელცოვი იყო მოვლენა — მუდამ მოკაშკაშე ვარსკვლავი საფეხბურთო ცის კაბადონზე.

მე ედუარდის ფეხბურთი მხოლოდ მისი მეორედ „გაელვების“ შემდეგ მინახავს — 1965-1970 წლებში. 1954-58 წლებში მისი საფეხბურთო ისტორია კი პრესისა და ძალზე მწირი კინოფირებით ვიცი. ჩემს ოჯახურ ბიბლიოთეკას ამშვენებენ წიგნები — ალექსანდრე ნილინის — „ედუარდ სტრელცოვი“, სერიიდან — „ხსოვნა“, ედუარდ სუხომლინოვის — „დიდი ფეხბურთელის ტრაგედია“, აგრეთვე, აქსელ ვართანიანის „სპორტ-ექსპრესის“ რამდენიმე ნომერში გამოქვეყნებული ნარკვევი „რატომ ჩასვეს სტრელცოვი?“ მრავალი წერილი და სტატია ამ უდიდეს ფეხბურთელზე. და, რაღა თქმა უნდა, ჩემი სამაგიდო წიგნია დიდი ედუარდისაგან 1986 წლის 30 მაისს, მოსკოვში, მისსავე ბინაში, მის მიერ ნაჩუქარი, მისი წიგნი „ვხედავ ფეხბურთს“, სამახსოვრო წარწერით.

ედუარდ სტრელცოვი... ჩემი ნარკვევის მიზანი სულაც არაა მისი კიდევ ერთხელ, მერამდენედ წარმოჩენა. არა, ეს ახლა, ამ წერილში დაგეგმილი ნამდვილად არა მაქვს. წლეულს დიდ ფეხბურთში მისი მოსვლის ნახევარსაუკუნოვანი იუბილეა.

### მოსკოვის „ტორპედოში“

დიახ, დიდ ფეხბურთში ის 50 წლის წინათ მოვიდა — 1954 წლის აპრილში. უფრო ზუსტად — 1954 წლის 4 აპრილს. კიდევ უფრო ზუსტად — 1954 წლის 4 აპრილს, ხარკოვში; ამ დღეს ადგილობრივმა „ლოკომოტივმა“ საბჭოთა კავშირის პირველობაზე მატჩში მიიღო მოსკოვის „ტორპედო“. მატჩი დამთავრდა ტორპედოელთა გამარჯვებით 4-1. ედუარდი მატჩში შეცვლაზე შემოვიდა — შეხვედრის დამთავრებამდე 20 წუთით ადრე. იმ დღეს ედუარდი 16 წლის, 8 თვის და 14 დღისა იყო. მას 17 წელი 1954 წლის 21 ივლისს შეუსრულდა. აქედან იწყება მისი საფეხბურთო ბიოგრაფია.

აღნიშნულ მატჩში ედუარდს გოლი არ გაუტანია. თუმცა, ზოგიერთი ჟურნალისტი წერს, რომ მან ამ მატჩში მეოთხე გოლი გაიტანა. ზოგი ამ გოლს ვაცკევიჩს მიაწერს, ზოგიც გულევსკის. თავად ედუარდი, თავის წიგნში „ვხედავ მინდორს“, ხარკოვის მატჩზე ორ სიტყვას ამბობს, გოლზე კი, არაფერს გვიყვება. არც მეორე მატჩში (ლენინგრადში, „შრომითი რეზერვების“ წინააღმდეგ) გატანილ ან არგატანილ გოლზე ამბობს რაიმეს. (აქაც შეცვლაზე შემოვიდა). აი, თბილისში გამართულ მესამე კალენდარულ მატჩში იგი სასტარტო შემადგენლობაში გამოვიდა და თავისი პირველი გოლი გაიტანა. ის მატჩი დინამოელებმა მოიგეს 2-1. ეს მოხდა 1954 წლის 14 აპრილს. მისი, როგორც ფეხბურთის ბომბარდირის ქრონიკა ამ დღიდან დაიწყო. დიდი იოსებ გრიშაშვილის სტრიქონის — „თბილისი იყო ჩემი ლექსის მასწავლებელი“ — პერიფრაზით თუ ვიტყვით: — „თბილისი იყო მისი გოლის მასწავლებელი“. ვიდრე ედუარდ სტრელცოვის მიერ გატანილი გოლების სტატისტიკას წარმოგიდგენდეთ (ამას წერილის დასკვნით ნაწილში გავაკეთებთ), მანამ, თავად დიდ ფეხბურთელს მოვუსმინოთ (ამონარიდი მისი წიგნიდან „ვხედავ ფეხბურთს“):

— „...თბილისის „დინამოს“ წინააღმდეგ სათამაშოდ მე მატჩის დაწყებისთანავე დამაყენეს. ძნელი მატჩი გამოდგა. თბილისელთა გუნდში მრავალი სახელოვანი და ნიჭიერი ფეხბურთელი იყო. თავდასხმაში გამოირჩეოდა ავთანდილ ღოღობერიძე — ის იმ წელს საბჭოთა კავშირის ნაკრებშიც შედიოდა.

... ერთ-ერთ მომენტში ბურთი მცველს ფეხებს შუა გავუძვრინე, შემოვტრიალდი და მარცხენა ფეხით მაღალ კუთხეში დავარტყი. თბილისელთა კარში იდგა ცნობილი მეკარე ვლადიმერ მარღანია....

რატომღაც არ მახსოვს ბურთი ბადეში როგორ გაეხვია, უფრო მაყურებელთა ოვაცია დამამახსოვრდა — ჩემს მიმართ, თბილისში, პუბლიკა მაშინვე განსაკუთრებულად განეწყო და შემდგომშიც ყოველთვის კარგად მხვდებოდა.

სწორედ თბილისიდან დაიწყო ჩემი და მაყურებლის ურთიერთობის დამყარება.

საბჭოთა კავშირის პირველობაზე პირველი გოლის გატანის დღეს — 1954 წლის 14 აპრილს, ედუარდ სტრელცოვი 16 წლის, 8 თვის და 24 დღის იყო. უკანასკნელი გოლიც, სსრკ ჩემპიონატებში, ედუარდმა თბილისში გაიტანა 1968 წლის 16 ნოემბერს (2-2). სიმბოლური დამთხვევაა.

### სსრკ ნაკრებში

საბჭოთა კავშირის ნაკრებს იმ პერიოდისათვის დიდი მაესტრო გავრილ კაჩალინი წვრთნიდა. ამ შესანიშნავმა სპეციალისტმა ედუარდ სტრელცოვი მომენტალურად აიყვანა აღრიცხვაზე და 1955 წლის 26 ივნისს შვეციის ნაკრებთან მატჩში, სტოკჰოლმში, ედუარდი

*ი ხ. მე-5 გვ.*

UEFA CHAMPIONS LEAGUE

## „ვიტ ჯორჯია“ ცხვარში წავიდა

ხვალ, თბილისის „ვიტ ჯორჯია“ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩს გამართავს ფარერულ „ჰაფნასთან“. კუნძულზე ქართული გუნდი შეთხელებული შემადგენლობით წავიდა. მთავარმა მწვრთნელმა მერაბ კოჭლაშვილმა სულ თექვსმეტი ფეხბურთელი იახლა: მამარდაშვილი, მუჯრიშვილი, ინწკირველი, იმედაშვილი, თ. კობიაშვილი, პ. დათუნაშვილი, გველესიანი, დიღმელაშვილი, ლ. ნოზაძე, ვ. გოჩაშვილი, მარცვალაძე, კვარაცხელია, მალიჩავა, სახოკია, ი. ებანოიძე, კვახაძე. ვიტელებმა პირველი მატჩი 5-0 მოიგეს და ამ წყვილის გამარჯვებული თბილისურ მატჩში გამოავლინეს, ამიტომაცაა, ვეტერინარებმა რამდენიმე ფეხბურთელი რომ დაასვენეს. ჩვენს ჩემპიონს მთავარი მატჩები წინ აქვს. მომდევნო ეტაპზე პოლონეთის ჩემპიონი კრაკოვის „ვისლა“ ელის. პოლონელებთან პირველ მატჩს ვიტელები 27 ივლისს, ისევ შინ გამართავენ. ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის სხვა მატჩებშიც კარგად გამოჩნდა ვის რა პერსპექტივები აქვს ტურნირში.

### ჩემპიონთა ლიგა

**I საკვალიფიკაციო ეტაპი, I მატჩები**

გომელი (ბელარუსი) — ტირანა (ალბანეთი) 0-2

სკონტო (ლატვია) — რილი (უელსი) 4-0

ფლორა (ესტონეთი) — ნოვა გორიცა (სლოვენია) 2-4

შერიფი (მოლდოვა) — ქენესი (ლუქსემბურგი) 2-0

ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია) — ჰიკ (ფინეთი) 0-1

რეიკიავიკი (ისლანდია) — შელბურნი (ირლანდია) 2-2

სლიმა (მალტა) — კაუნასი (ლიტვა) 0-2

პობედა (მაკედონია) — პიუნიკი (სომხეთი 1-3

შიროკი ბრიეგი (ბოსნია) — ნეფტჩი (აზერბაიჯანი) 2-1

1X2

UEFA INTERTOTO CUP

### ინტერტოტოს თასი

**მესამე ეტაპი, პირველი მატჩები**

თუნი (შვეიცარია) — ჰამბურგი (გერმანია) 2-2

შინიკი (რუსეთი) — ლეირია (პორტუგალია) 1-4

შალკე (გერმანია) — ვარდარი (მაკედონია) 5-0

ლიბერეცი (ჩეხეთი) — როდა (ჰოლანდია) 1-0

სლავენი (ხორვატია) — ტრნავა (სლოვაკეთი) 0-0

ლილი (საფრანგეთი) — დინამო (მინსკი, ბელარუსი) 2-1

ზლინი (ჩეხეთი) — ატლეტიკო (ესპანეთი) 2-4

გენკი (ბელგია) — დორტმუნდი (გერმანია) 0-1

ვილიარეალი (ესპანეთი) — სპარტაკი (რუსეთი) 1-0

ვეტრა (ლიტვა) — ესბიერგი (დანია) 1-1

ნანტი (საფრანგეთი) — კორკ სიტი (ირლანდია) 3-1

ტამპერე (ფინეთი) — ოფკ (სერბეთი) 0-0

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ლიმა „რომადან"... მოსკოვში

**უკანასკნელ პერიოდში რუსული საფეხბურთო კლუბები აქტიურად ერთვებიან მსოფლიო სატრანსფერო ბაზარზე და თავისთან უკვე ვარსკვლავებსაც იწვევენ: მოსკოვის „სპარტაკის" შენაძენების შესახებ თითქმის ყველამ იცის. რამდენიმე დღის წინ მოსკოვის „ლოკომოტივმა" სენსაციური ტრანსფერი განახორციელა: ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა ბრაზილიელ ნახევარმცველ ლიმასთან. ეს სწორედ ის ლიმაა, ბოლო პერიოდში იტალიური საფეხბურთო გრანდის „რომას" ღირსებას რომ იცავდა. ლიმას გადაბირებით კმაყოფილია „ლოკომოტივის" პრეზიდენტი ვალერი ფილატოვი, რომელმაც ინტერვიუ მისცა „გაზეტა-რუს" ჟურნალისტს.**



— უნდა ითქვას, რომ „ლოკომოტივმა" პირველად განახორციელა ასეთი ხმაურიანი ტრანსფერი, — ლიმა ხომ მაღალი კლასის ფეხბურთელია, რომელიც დამაჯერებლად თამაშობდა „რომას" შემადგენლობაში, — ამბობს ფილატოვი, — საინტერესოა, რომ ლიმამ კარიერა დაიწყო ბრაზილიურ კლუბ „მანაუსში", რომელიც ითარგმნება, როგორც „სარკინიგზო". ასე რომ, ლიმა „ძველ პროფესიას" დაუბრუნდა, — ის კვლავ „რკინიგზელია".

● ***ლიმა უნივერსალური ფეხბურთელია, რომელსაც შეუძლია თამაში როგორც ნახევარდაცვის, ისე თავდასხმის ხაზზე. „ლოკომოტივში" რა პოზიციაზე ითამაშებს?***

— ვფიქრობ, რომ ლიმა მნიშვნელოვნად გააძლიერებს „ლოკომოტივის" ნახევარდაცვის ხაზს.

● ***აპირებთ თუ არა ამ ზაფხულს კიდევ ერთი ფეხბურთელის შეძენას?***

— დიახ. თავდამსხმელის შეძენას ვგეგმავთ.

● ***ლიმას ტრანსფერის თანხას ხომ ვერ დაგვისახელებთ?***

— ამ ეტაპზე თავს შევიკავებ. ისე, კონტრაქტი ორწლიანია.

● ***რას ელით ლიმასგან?***

— დარწმუნებული ვარ დიდ სარგებლობას მოგვიტანს. ამით მე დავამტკიცებ, რომ სერიოზულად ვფიქრობ მომავალში წარმატებების მიღწევაზე. ჩემი მუშაობის შედეგი უახლოეს ორ წელიწადში გამოჩნდება.

* * *

„გაზეტა-რუს" ჟურნალისტმა ლიმასთან გასაუბრებაც მოახერხა:

● ***რას წარმოგვიდგენთ „ლოკომოტივში" თამაშით?***

— მე ჩემს პროფესიონალიზმს გამოვაჩენ და მინდა გავამართლო კლუბის ხელმძღვანელობის ნდობა.

● ***რა ინფორმაციას ფლობთ „ლოკომოტივზე"?***

— ძალიან კარგად ვიცნობ ამ გუნდს. „ლოკომოტივის" წინააღმდეგ ხომ მითამაშია, როცა „რომას" ღირსებას ვიცავდი. გარდა ამისა, ბევრი ჩემი თანამემამულე თამაშობს რუსეთში და მათგანაც ვიცი ბევრი რამ ამ ქვეყნის შესახებ.

● ***ესპანური „ვალენსია" გეპატიჟებოდათ, თქვენ კი მოსკოვის „ლოკომოტივი" არჩიეთ. რატომ?***

— მქონდა მოლაპარაკებები არა მხოლოდ „ვალენსიასთან", არამედ ევროპის სხვა წამყვან კლუბებთანაც, მაგრამ „ლოკომოტივმა" უფრო ხელსაყრელი პირობები შემომთავაზა.

● ***უკვე 33 წლის ხართ, ეს არცთუ ახალგაზრდული ასაკია. არ გეშინიათ, თამაშის მაღალი ტემპი რომ ვერ შეინარჩუნოთ? იქნებ რუსეთში კარიერის დასასრულებლად ჩამოხვედით?***

— ასაკის მიუხედავად, თავს მშვენივრად ვგრძნობ და ყველაფერს გავაკეთებ „ლოკომოტივისათვის" წარმატების მისაღწევად.

## 10 მილიონი ევრო... ბექჰემის მიზანაცილებული ბურთისათვის?

**ესპანელი გულშემატკივარი, რომლის ვინაობას საინფორმაციო წყაროები არ ასახელებენ, შეიძლება უმდიდრესი ადამიანი გახდეს იმ ბურთის წყალობით, რომელიც ბექჰემმა ევროპის ჩემპიონატზე ინგლისი — პორტუგალიის შეხვედრის პენალტების სერიაში ააცილა პორტუგალიელთა კარს.**

**ფეხბურთის გულშემატკივარმა ბურთი ინტერნეტის საშუალებით ერთ ევროდ შეაფასა, ორი დღის შემდეგ კი მისი ფასი... 10 მილიონ ევრომდე გაიზარდა.**

## ბიელსას ოლიმპიური გეგმები

არგენტინის ფეხბურთელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელს მარსელო ბიელსას ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ ათენში, ოლიმპიურ თამაშებზე გასამგზავრებელი ეროვნული გუნდის ხელმძღვანელობაც დაავალა.

პერუში, ამერიკის თასზე მოასპარეზე არგენტინის ნაკრები პრაქტიკულად, ოლიმპიური შემადგენლობისაა. ბიელსას 30 კანდიდატი ჰყავს. ეს რიცხვი 11 ივლისს 18 ფეხბურთელამდე შემცირდება. მწვრთნელს შერჩეული ჰყავს 23 წელზე უფროსი 5 ფეხბურთელი — აიალა, სორინი, რიკელმე, კრესპო და სავიოლა, რომელთაგან ოლიმპიურ თამაშებზე სამი მათგანი უნდა წაიყვანოს.

## ასე ინყებოდა ლატვიური ფეხბურთი

### „ამატიერისიდან" „სკონტომდე"

ლატვიის ფეხბურთელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე თავი დაამახსოვრა ყველას გერმანიის ნაკრებთან სენსაციური ფრედ დასრულებული მატჩით. ლატვიელები ჯგუფში ჩარჩნენ, მაგრამ ამ ქვეყანაში ენა მაინც ვერ მოუბრუნდებათ ნაკრების ხელმძღვანელობაზე აუგის სათქმელად, რადგან ლატვიის ნაკრები პირველად ისტორიაში გავიდა ასეთი რანგის ტურნირის ფინალურ ეტაპზე. ჩვენი გაზეთის მკითხველებს ალბათ დააინტერესებთ ლატვიური ფეხბურთის ისტორიის ფრაგმენტები.

ლატვიაში პირველი გუნდები 1907-1908 წლებში ჩამოაყალიბეს ბრიტანელმა და გერმანელმა ემიგრანტებმა. პირველი სუფთა „ლატვიური" გუნდი 1910 წელს შეიქმნა რიგაში — „ამატიერისი", ერთი წლით ადრე ლიეპაიაშიც შეიქმნა კიდევ ერთი გუნდი „ოლიმპია". 1910 წელს შეიქმნა რიგის საფეხბურთო ლიგა, რომელიც შეჯიბრებებს ატარებდა 1910-1915 წლებში.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ლატვია დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა, 1921 წელს კი ამ ქვეყნის საფეხბურთო კავშირი შეიქმნა, რომელიც 1927 წლამდე ატარებდა ეროვნულ ჩემპიონატებს. შემდეგ შეიქმნა საფეხბურთო პრემიერ-ლიგა, 1931 წელს კი პირველად გათამაშდა ლატვიის თასი.

ფიფას წევრი ლატვიის საფეხბურთო კავშირი 1922 წელს გახდა. ამ ქვეყნის ნაკრებმა პირველ ოფიციალურ მატჩში, იმავე წელს, ესტონელებთან ფრეს (1-1) მიაღწია. ლატვიის ნაკრებმა 1924 წლის ოლიმპიურ თამაშებშიც იასპარეზა, რომელსაც პარიზი მასპინძლობდა. ამ მოვლენიდან ოთხი წლის შემდეგ ლატვიის საფეხბურთო კავშირმა წამოაყენა წინადადება, ჩატარებულიყო „ბალტიის თასის" გათამაშება ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის ნაკრებთა მონაწილეობით. პირველი ასეთი ტურნირი 1928 წელს ესტონეთში გაიმართა და ლატვიის ნაკრების გამარჯვებით დასრულდა. ეს გუნდი მსოფლიოს 1938 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში მონაწილეობდა, სადაც ორჯერ მოუგო ლიტვის გუნდს, თუმცა, პრინციპულ მატჩში ავსტრიის ნაკრებთან დამარცხდა და ფინალურ ეტაპზე ვერ გავიდა.

1940 წელს ლატვია საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შევიდა და ყველა ადგილობრივმა კლუბმა რეფორმირება განიცადა. ერთ წელიწადში სამამულო ომი



ლატვიის ფეხბურთელები (მუქ მაისურებში) 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში.



დაიწყო და ლატვია გერმანიის მიერ ოკუპირებული იქნა. 1942-1944 წლებში, ე.ი. ომის წლებში, კვლავ ტარდებოდა ლატვიის ეროვნული ჩემპიონატები, თუმცა, შემდეგ შეწყდა... შემდგომი პერიოდიდან კვლავ ტარდებოდა ეროვნული ჩემპიონატები და ქვეყნის სამი წამყვანი გუნდი სხვადასხვა დროს ასპარეზობდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ლატვიამ დამოუკიდებლობა მოიპოვა, 1991 წელს აღუდგინეს ფიფას წევრობა და უეფას რიგებშიც მიიღეს...

## ედუარდ სტრელცოვის დიდ ფეხბურთში მოსვლის 50 წლისთავი

*(მეოთხე გვერდიდან)*

ძირითად შემადგენლობაში დააყენა. ეს იყო ედუარდ სტრელცოვის დებიუტი საბჭოთა კავშირის პირველი გუნდის შემადგენლობაში. ამ სადებიუტო მატჩში ე. სტრელცოვმა 3 გოლი გაიტანა. ამის შემდეგ ედუარდმა საბჭოთა კავშირის ნაკრებში კიდევ 37 შეხვედრა ჩაატარა — სულ 38. ყველა მატჩში იგი ძირითადი და შეუცვლელი იყო პირველი წუთიდან ბოლო წუთამდე. ნაკრებში შეხვედრათა ეს რაოდენობა ედუარდმა 1955-57 და 1966-68 წლებში ჩაატარა. ნაკრების მიღმა იგი, მისთვის ავადმოსაგონარ, 1958-65 წლებში დარჩა. 1958-64 წლებში ის დიდი ფეხბურთისგან ჩამოშორებული იყო.

### რა მოხდა 1958 წელს?!

1958 წლის 26 მაისს ედუარდ სტრელცოვი დააპატიმრეს. საფუძველი — უაზროდ, უმოტივოდ შეთითხნილი და შეკოწიწებული საბრალდებო დასკვნა — ქალიშვილის მარიანა ლ...-ის გაუპატიურება.

იმავე წლის 23-24 ივლისს ედუარდი გაასამართლეს და 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. 1960 წელს რუსეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მას სასჯელი 7 წლამდე შეუმცირა.

ვინ შეუკვეთა ედუარდ სტრელცოვი?

**გავრილ კაჩალინი (ჩემთან საუბარში):** „რა არ ვცადე, როგორ არ მოვინდომე, მაგრამ არაფერი გამომივიდა. დროც არ მეყო, შვეციაში გამგზავრებამდე ოთხიოდე დღე იყო დარჩენილი. ვერაფერი გავაწყე ფურცევასთან, ხრუშჩოვთან, ვერც სპორტკომიტეტის მაშინდელი ხელმძღვანელები დამეხმარნენ. მაღალი პარტიული ჩინოსნების სასტიკ ბრძანებებს ისინი უსიტყვოდ ასრულებდნენ. ედუარდ სტრელცოვს განაჩენი წინასწარ გამოუტანეს. ე. ფურცევას ე. სტრელცოვი თავის სიძედ, ქალიშვილის ქმრად უნდოდა და, როცა სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდა, შემდეგ ყველაფერი ილონა იმისათვის, რომ ეს უმსგავსო საქმე შეეთითხნა".

(ინტერვიუ შედგა 1988 წლის სექტემბერში. საჯაროობა თანდათან იკრებდა ძალას — ნ.მ.).

**გავრილ კაჩალინი (აქსელ ვართანიანთან საუბარში):** „მილიციაში მითხრეს, რომ უკვე გვიანაა და მრავალმნიშვნელოვნად მიმითითეს ზემოთ. მე მივხვდი, რომ ეს უკვე დასასრულს ნიშნავდა. ასე რომ, სტერლცოვი არაფრის გამო ჩასვეს.

— ვის შეეძლო მოეხსენებია ხრუშჩოვისათვის?

— მე მგონი ფურცევას. მას სტრელცოვის ქინი ჰქონდა.

— გგონიათ, თუ მართლა?

— ვის შეუძლია ამის ზუსტად ცოდნა?" (ინტერვიუ შედგა 1984 წელს, მაშინ ყველაფრის თქმა და დაწერა ჯერ კიდევ არ შეიძლებოდა — ნ.მ.).

**სლავა მეტრეველი (ჩემთან საუბარში, არაერთგზის):** „ფურცევას უნდოდა თავისი ქალიშვილი ედუარდისათვის მიეთხოვებია, მაგრამ სტრელცოვმა მას მწარედ უპასუხა. ფურცევამ ეს ყველაფერი დაიმახსოვრა და, როცა ხელსაყრელი მომენტი იპოვა, გაწირა კიდეც".

**ბორის ტატუშინი (აქსელ ვართანიანთან საუბარში):** „თქვენ რა, საქმის კურსში არა ხართ? ვინ ჩასვა და ეკატერინე მესამემ — ეს ყველამ იცის".

**რაისა სტრელცოვა (ედუარდის მეუღლე):** — როგორც ედიკი მომიყვა, ორმოცდაჩვიდმეტში იგი გამოიძახეს ფურცევასთან... დანიშნულ დროს ის მივიდა ფურცევასთან. მიიწვიეს კაბინეტში. შევიდა. მიესალმა. ფურცევამ იგი ახლოს მიიხმო; თავიდან ფეხებამდე შეათვალიერა. ედუარდი დაიბნა.

— აი, როგორი ყოფილხართ, ჩვენო პოპულარულო ფეხბურთელო — ღიმილით თქვა მან.

სტრელცოვი დუმდა და არ იცოდა რა ეპასუხა.

— მე თქვენთან წინადადება მაქვს, ედუარდ ანატოლის ძევ — პირფერულად წარმოთქვა ფურცევამ. მინდა გაგირიგოთ ჩემი ქალიშვილი. თქვენ რას იტყვით? ჩემმა ქალიშვილმა მითხრა, რომ მას თქვენს მიმართ სიმპატიები აქვს... რა ვქნათ...

ედუარდი ყველაფერს იფიქრებდა, მაგრამ თუ ფურცევას კაბინეტში საუბარი მაჭანკლობაზე წარიმართებოდა, ამას ნამდვილად არ მოელოდა.

— იცით... მე...

სტრელცოვი უპასუხებდა დაბნეულად, შეეცადა დაერწმუნებია ფურცევა, რომ ასეთი საკითხები კაბინეტში არ წყდება. ფურცევას სახე მოექცა. ფეხზე წამოდგა და თქვა:

— „მე მეგონა, რომ თქვენ ჩემს ქალიშვილთან კარგ წყვილს შექმნიდით... დაფიქრდით, როგორც საჭიროა".

**ედუარდ სტრელცოვი (ჩემთან საუბარში):** „მიშა მესხი არაადამიანების მსხვერპლი გახდა. სამწუხაროდ, არ დაილევიან ამ ქვეყნად ფურცევასა და ხრუშჩოვის მსგავსი ვიგინდარები. მე მათ გამამწარეს, მიშა კი — მათმა მსგავსებმა. (საუბარი შედგა 1986 წლის 30 მაისს, მოსკოვში, ედუარდის ბინაში — *ნ.მ.*).

ცნობილია, აგრეთვე, სტრელცოვის ნათქვამის რამდენიმე ვარიანტი ამ თემასთან დაკავშირებით. ერთ-ერთი ვერსიით, ფურცევას წინადადებაზე ედუარდს უთქვამს: „მირჩევნია თავი მოვიკლა, ვიდრე ამ ...-ზე დავქორწინდე, ჩემს ალკას მე არავისზე არ გავცვლი".

*დასასრული შემდეგ ნომერში*

## თქვენთვის, ფეხბურთის ერუდიტებო!





1. სურათზეა ბრაზილიელი ფეხბურთელი, მეკარე, შემდგომში მწვრთნელი. თამაშობდა ბრაზილიის კლუბებში „სან ჟოზეში", „კომერსიალში", „პალმეირასში", „ვასკო და გამაში", „გრემიოში", „კორინტიანსში", „სპორტში" (ქ. რესიფე, პერნამბუკოს შტატი, 1987). პირველი მატჩი ქვეყნის ნაკრებში ითამაშა 1970 წელს არგენტინის წინააღმდეგ, ბოლო, 1986 წელს იუგოსლავიის ნაკრების წინააღმდეგ მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადებასთან დაკავშირებით. ვინაა იგი?





2. სურათზეა გასული საუკუნის 60-იანი წლების ერთ-ერთი ცნობილი ინგლისელი ფეხბურთელი, 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონი. „ლივერპულის" კლუბის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი. ვინაა იგი?

**„ლელოს" №56-ში გამოქვეყნებული შეკითხვის პასუხი:**

**სურათზეა ბრაზილიის ნაკრების მთავარი მასაჟისტი, ცნობილი მარიო ამერიკო.**

# ალექსანდრ ხალიფმანი: „ეს სამარცხვინო მსოფლიო ჩემპიონატი იყო“

**ცნობილია, რომ ახლახან ტრიპოლიში დასრულებულ მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატში ასპარეზობაზე უარი თქვა რამდენიმე უძლიერესმა დიდოსტატმა, მათ შორის იყო ფიდეს ვერსიით მსოფლიოს ექსჩემპიონი ალექსანდრ ხალიფმანი. ვფიქრობთ, ჩვენი გაზეთის მკითხველთათვის საინტერესო უნდა იყოს ხალიფმანის მიერ გაკეთებული შეფასებები ფიდეს მიერ ორგანიზებული მსოფლიო ჩემპიონატის შესახებ, რომელიც დიდოსტატმა რუსული საიტის „გაზეტა-რუს“-ს ჟურნალისტს გაუზიარა.**

**— ჯერ კიდევ მსოფლიო ჩემპიონატამდე მიიჩნევდნენ, რომ ეს იყო ფიდეს ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული შეცდომა. ეს არ იყო ნამდვილი მსოფლიოს ჩემპიონატი, — ამბობს ალექსანდრ ხალიფმანი.**

***● თუ გინახავთ ვესელინ ტოპალოვის, მაიკლ ადამსის, ანდა, მსოფლიო ჩემპიონის რუსტამ კასიმჯანოვის მიერ ნათამაშევი პარტიები?***

— მხოლოდ ერთი თვალის გადავლებით. ღრმა ანალიზის გაკეთება მოგვიანებით მომიწევს.

***● კასიმჯანოვის ჩემპიონობა ბევრისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. როგორ აფასებდით უზბეკ მოჭადრაკეს მსოფლიო ჩემპიონატამდე?***

— საკმაოდ კარგად თამაშობს. მას შევხვდი ვეიკ-ან-ზეეს სუპერტურნირში და იქ ვნახე მისი დიდი პოტენციალი. მსოფლიო პირველობაზე კასიმჯანოვს ფავორიტების არ შეშინებია და შეუპოვრად იბრძოდა. მონდომებამ და თავდაუზოგავმა ბრძოლამ თითოეულ პარტიაში, შედეგი გამოიღო — კასიმჯანოვთან ფავორიტები ვერაფერს გახდნენ.

***● მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობაზე პლანეტის რამდენიმე უძლიერესმა მოჭადრაკემ განაცხადა უარი. ძირითადი ნაწილი უკმაყოფილო იყო გარი კასპაროვისთვის მინიჭებული პრივილეგიების გამო (დებულების თანახმად, კასიმჯანოვი გარი კასპაროვს ხვდება საჭადრაკო სამყაროს გამაერთიანებელ ნახევარფინალურ მატჩში), ზოგს ფიდეს პირობები არ მოსწონდა. რით იყო გამოწვეული თქვენი მხრიდან უარი ტრიპოლიში ჩასვლაზე?***


ხალიფმანი

— მე არ ვიასპარეზე ამ სამარცხვინო შეჯიბრებაში ისრაელის წარმომადგენელი მოჭადრაკეებისადმი სოლიდარობის ნიშნად. ისრაელში ბევრი მეგობარი მყავს და მათ დავუჭირე მხარი.

ფიდეს ხელმძღვანელობა ყოველგვარ ეთიკურ ნორმებს გასცდა, როცა ისრაელელ ბორის გელფანდს არ მისცა საშუალება, ეთამაშა მსოფლიო ჩემპიონატზე ლიბიაში არსებული კანონის გამო...

***● ეთანხმებით იმ აზრს, რომ ფიდემ საჭადრაკო სამყარო ჩიხში მოიმწყვდია?***

— როცა ფიდემ მიიღო გადაწყვეტილება ლიბიაში მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების შესახებ, საკუთარი თავი გასწირა. ილიუმჟინოვი და მისი კამპანია უნდა გადადგნენ...

კასიმჯანოვის მიერ მოპოვებული მსოფლიო ჩემპიონის ტიტული უფერულია, რადგან შეჯიბრებაში არ მონაწილეობდნენ ანანდი, სვიდლერი, მოროზევიჩი, პონომარიოვი, ბარეევი, ასე ვთქვათ, „საჭადრაკო ელიტა“. დასასრულ, მსოფლიო ჭადრაკი კატასტროფამდე სწორედ „პრაღის ხელშეკრულებამ“ მიიყვანა.

გასაგებია, რომ ისეთი მნიშვნელოვანი ტურნირების ჩატარებას, როგორიც მსოფლიო ჩემპიონატებია, ფინანსურად ძლიერი სპონსორები სჭირდება. კირსან ილიუმჟინოვმა ლიბიაში იმიტომ ჩაატარა მსოფლიო ჩემპიონატი, რომ ამ ქვეყნის დიქტატორმა მუამარ კადაფიმ „ჯიბეზე იკრა“ ხელი. ამისთვის ფიდეს პრეზიდენტმა კადაფის დიდოსტატობაც მიანიჭა. გამოდის, რომ ვინც დააფინანსებს ტურნირებს, მათ თავიანთი პრინციპები უნდა ჩადონ დებულებებში. ეს ჩემპიონატი ლიბიელმა დიქტატორმა დააფინანსა, ვინ იქნება შემდეგი? (იცინის) იქნებ ბენ ლადენი?

**● ბოლო პერიოდში არცთუ ხშირად ჩანხართ საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირებში...**

— მართალია, ჩემს თავს ვერ ვუწოდებ სრულყოფილ პროფესიონალ მოჭადრაკეს. ყოველწლიურად ორ ან სამ სერიოზულ ტურნირში ვთამაშობ. დიდი სიამოვნებით დავუბრუნდებოდი აქტიურ საჭადრაკო ცხოვრებას, ასეთი ქაოსური სიტუაცია რომ არ იყოს ჭადრაკის სამყაროში. ამჟამად ვმოღვაწეობ სანკტ-პეტერბურგში გახსნილ საკუთარ საჭადრაკო სკოლაში.

## ედვარდსს ორწლიანი დისკვალიფიკაცია ელის



100-მეტრიან დისტანციაზე რბენაში მსოფლიო ჩემპიონს ტორი ედვარდსს (სურათზე), შესაძლოა, ორწლიანი დისკვალიფიკაცია მისცენ დოპინგის გამოყენების ბრალდებით და ამით ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის გარეშეც დატოვონ.

შარშან ედვარდსმა მსოფლიო ჩემპიონატი მოიგო, მაგრამ მისი სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა: დოპინგ-ტესტმა სპორტსმენის ორგანიზმში აკრძალული პრეპარატის ნაკვალევი აღმოაჩინა. ამის გამო ედვარდსს ჩემპიონატის ოქროს მედალიც ჩამოართვეს და 120 ათასი დოლარიც. ახლახან ედვარდსს კიდევ ჩაუტარეს დოპინგ-ტესტი და მორბენალი კვლავ რთულ ვითარებაში აღმოჩნდა. თუ მას დაუდგინეს დოპინგის მოხმარების ფაქტი, მაშინ ედვარდსი ათენში აღარ გაემგზავრება.

## უილიამსებმა ჩოგბურთზე წიგნი გამოსცეს

ამერიკელმა ჩოგბურთელებმა — დებმა უილიამსებმა გამოსცეს წიგნი სახელწოდებით — „როგორ ვითამაშოთ ჩოგბურთი“. სათაურიდან გამომდინარე, იოლი მისახვედრია, რომ ეს არის ჩოგბურთის სწავლების სახელმძღვანელო. წიგნის პრეზენტაცია მოხდება აშშ-ის ღია პირველობის მიმდინარეობის დროს. ეს შეჯიბრება აგვისტოს მიწურულს გაიმართება.

## ოლიმპიური თამაშების წინ

● **1500 მეტრ** დისტანციაზე სირბილში მსოფლიო რეკორდსმენმა 29 წლის მაროკოელმა ჰიშამ ელ-გერუჯმა სენსაციური განცხადება გააკეთა: ის, შესაძლოა არ ჩავიდეს ათენში ოლიმპიურ თამაშებში საასპარეზოდ. სპორტსმენის განცხადებით, ეს მოხდება იმ შემთხვევაში, ვიდრე არ დარწმუნდება, რომ ათენში ოლიმპიურ ოქროს მედალს მოიპოვებს. თურმე ელ-გერუჯს იმიჯის დაკარგვის ეშინია, სწორედ ამიტომაც ემზადება მონდომებით, რათა 1500 მეტრ დისტანციაზე ჩვეული შედეგები აჩვენოს.

აქვე შეგახსენებთ, რომ ამ მანძილზე ელ-გერუჯმა 1998 წელს მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

● **წლევანდელი** ოლიმპიური თამაშები უკანასკნელი შეჯიბრება იქნება გამოჩენილი ნამიბიელი სპრინტერის — ფრენკ ფრედერიქსისათვის, რომელმაც ოთხჯერ მოიპოვა ოლიმპიური ვერცხლის მედალი მძლეოსნობაში 100 და 200 მეტრ დისტანციებზე: 1992 წელს, ბარსელონაში მან წააგო ლინფორდ კრისტისთან და მაიკლ მარშუსთან, ხოლო ოთხი წლის შემდეგ ატლანტაში — დონოვან ბეილისთან და მაიკლ ჯონსონთან. ეს ოთხი სპორტსმენი უკვე პენსიაზეა. 37 წლის ფრედერიქსი კი ათენში წარმატებით გამოსვლაზე ფიქრობს. მართლაც, სპეციალისტებიც აღნიშნავენ, რომ ფრედერიქსს აქვს შანსი, პირველად მოიპოვოს ოლიმპიური ოქრო.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**20 ივლისი, სამშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. ევრიკა.*** „სპორტის სამყარო“ (18.00). ***იმედი.*** პროგრამა „გოლი“ (11.30). ***НТВ плюс футбол.*** კალათბურთი. ნბა. 2003-2004 წ.წ. (6.30). „გავიხსენოთ განვლილი სეზონი“. გერმანიის ჩემპიონატი. „ვოლფსბურგი“ — „შტუტგარტი“ (12.15). ინგლისის ჩემპიონატი. „ჩელსი“ — „არსენალი“ (14.00). ესპანეთის ჩემპიონატი. „რეალი“ — „ვალენსია“ (16.00). იტალიის ჩემპიონატი. „ლეჩე“ — „რომა“ (23.35); ***НТВ плюс спорт.*** „საუკუნის ათლეტები“ — „ეული ვარსკვლავი“. ბეიბ დიდრიკსონი (11.15). „სპორტული გლობუსი“ (12.40). ჩოგბურთი. „ატპ“-ის საერთაშორისო ტურნირი (13.45). საცხენოსნო სპორტი. დაბრკოლებათა გადალახვა. საერთაშორისო შეჯიბრება (16.30). მძლეოსნობა. საერთაშორისო შეჯიბრება. გრან-პრი (17.30). საუკუნის ათლეტები. პაავო ნურმი (20.20). სპორტული ცეკვები. საერთაშორისო ტურნირი (21.30). ძიუდო. საერთაშორისო ტურნირი. „პარიზი-2004“ (22.40). ტრიატლონი. მსოფლიო თასი (0.30). ***EUROSPORT.*** საპლაჟო ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (11.00). მძლეოსნობა. საერთაშორისო შეჯიბრება (12.00). ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი (13.45, 14.15, 0.00). ფეხბურთი. უეფა. ჩემპიონთა ლიგა (20.00). კრივი. პროფესიონალები (21.30, 22.00). ოლიმპიური თამაშები. მისია — ათენი (1.15). ევროსპორტის ახალი ამბები (2.15, 3.15).

**21 ივლისი, ოთხშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. ევრიკა.*** „სპორტის სამყარო“ (18.00). ***НТВ плюс футбол.*** ამერიკის თასი. ნახევარფინალი (12.15, 20.15). ბრაზილიის ჩემპიონატი. „გუერანი“ — „ფლამენგო“ (14.00, 22.00). უკრაინის ჩემპიონატი (16.00, 17.45), რუსეთის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (23.45, 0.00). ***НТВ плюс спорт.*** საუკუნის ათლეტები. პაავო ნურმი (12.45). ტრიატლონი. მსოფლიო თასი (13.55). სპორტული ცეკვები. საერთაშორისო ტურნირი. „ბროლის თასი“ (14.50). საცხენოსნო სპორტი. დაბრკოლებათა გადალახვა. საერთაშორისო შეჯიბრება (16.15). ძიუდო. საერთაშორისო ტურნირი „პარიზი-2004“ (17.15). ათენის გზით (20.00). საუკუნის ათლეტები. „სხვადასხვა ბედი“. კ. პალუსალუ და ი. კოტკასი (21.00). სპორტული ცეკვები. საერთაშორისო ტურნირი (22.00). ევროპის ჩემპიონატი არტისტულ ბილიარდში (23.05). ფეხბურთი. ამერიკის თასი. პირდაპირი ტრანსლაცია (4.40). ***EUROSPORT.*** ოლიმპიური თამაშები. მისია — ათენი (11.00). ფეხბურთი. უეფა. ჩემპიონთა ლიგა (11.30). „გოლი!“ (13.00). ევროპის ჩემპიონატი 19-წლამდელთა შორის (20.00, 22.00). ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი (0.00). ევროსპორტის ახალი ამბები (1.15). საცხენოსნო სპორტი. სუპერლიგა (1.30).

**22 ივლისი, ხუთშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. ევრიკა.*** „სპორტის სამყარო“ (18.00). ***НТВ плюс футбол.*** კალათბურთი. ნბა (6.30). ფეხბურთი. ამერიკის თასი. ნახევარფინალი (12.15, 19.20). გავიხსენოთ განვლილი სეზონი. გერმანიის ჩემპიონატი. „ბორუსია“ — „ბოხუმი“ (14.00). ესპანეთის ჩემპიონატი „ესპანიოლი“ — „რეალი“ (16.15). „მანჩესტერ სიტი“ — „მანჩესტერ იუნაიტედი“ (22.50). „ფუტბოლ მუნდიალი“ (18.20, 1.05). ჩემპიონთა ლიგის არქივი. 2000-01 წ.წ. სეზონი. მეოთხედფინალი. „გალათასარაი“ — „რეალი“ (21.05). ***НТВ плюс спорт.*** საუკუნის ათლეტები. „სხვადასხვა ბედი“. კ. პალუსალუ და ი. კოტკასი (10.45). ათენის გზით (12.00). სპორტული ცეკვები. საერთაშორისო ტურნირი (15.00). კიკბოქსინგი. პროფესიული ორთაბრძოლები (16.25). საცხენოსნო სამჭიდი. „მოსკოვის ოლქის გუბერნატორის თასი“ (18.00). ჩოგბურთი. „ატპ“-ის მიმოხილვა (19.15). საუკუნის ათლეტები. ამერიკელთა ლეგენდა ჯესი ოუენსი (19.45). ჭადრაკი. დორტმუნდის სუპერტურნირი (22.00). ევროპის ჩემპიონატი არტისტულ ბილიარდში (23.00). ჩოგბურთი. „ატპ“-ის მიმოხილვა (0.45). სპორტის აკვატორია (1.15). ***EUROSPORT.*** საცხენოსნო სპორტი. სუპერლიგა (10.30). ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი 19-წლამდელთა შორის (11.30). ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი (13.30, 14.00, 0.00). რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (20.00, 20.15, 1.45, 2.45). ევროსპორტის ახალი ამბები (1.30). ფეხბურთი. გოლი! (3.00).

## კროსვორდი №57

**თარაზულად:** 6. პროფესიონალი მოკრივე, 8. ქართველი ფეხბურთელი, მეკარე ცხოვრობს და მოღვაწეობს რუსეთში, 9. პროფესიონალი მოკრივე, 11. თოფის ნაწილი, 12. არმია, ანუ... 13. ცნობილი საჭადრაკო კომპოზიტორი საქართველოში, 14. სკანდინავიის პატარა ქვეყანა, რომელიც ფეხბურთელებითა განთქმული, 15. სპორტის ქომაგთა სათაყვანო... 17. წარსულში ცნობილი ნორვეგიელი სამთომოთხილამურე, გუდი..., 20. ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელი — ვეტერანი, 21. ნბა-ს აღმოსავლეთ კონფერენციის კლუბი, 22. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 24. მამაცთა სპორტის სახეობა, 25. საცხენოსნო, ველო და მოტოსპორტში მანძილის გავლასთან დაკავშირებული ტერმინი.



**შვეულად:** 1. წარსულში ცნობილი ქართველი ველომრბოლი, 2. ტურისტთა და მთამსვლელთა თავშესაფარი, 3. მძლეოსნობაში რბენისას გადასალახი დაბრკოლება, 4. სასკოლო ტანვარჯიშული ინვენტარი, 5. მარტოხელა, უთვისტომო, უჯიშო... 7. მძლეოსნური სატყორცნი იარაღი, 10. კურორტი შავი ზღვის სანაპიროზე, 13. ცნობილი ელექტრონაწარმის ფირმა, 16. სპორტში უმაღლესი მიღწევა, რომელიც დროსა და სივრცეში ფიქსირდება, 18. წარსულში ცნობილი პოლონელი ძალოსანი, მეჩისლავ ... 19. ბელგიის საფეხბურთო კლუბი, 20. ცრუ მოძრაობა, ანუ ... 23. ცნობილი ფრანგი ფეხბურთელი.

### №56 კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. ხარება, 4. ევა, 7. მარლანია, 8. ბრინჯაო, 9. კარავი, 10. პა, 12. ფრე, 13. კანი, 16. კასანო, 17. კერპი, 20. ბანი, 21. სტარტიორი, 24. ციციკარი, 25. ერერა, 26. ალი.
**შვეულად:** 1. ხარბი, 2. „რეჯინა“, 3. ბრიჯი, 4. ერა, 5. ალიევი, 6. საფრანგეთი, 7. მოსე, 9. „კოკა“, 11. კაკაბაძე, 14. პრიზიორი, 15. ასანიძე, 18. ატაცი, 19. ტრიკო, 22. ოტია, 23. ფცა.

**მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე**

## საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი
(სოფ. კარდენახი)



შამათი 3 სვლაში

№56-ში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა: "1": 1. c8ლ! მფ:b5 2. ლa6X, 1. ...... მფd5 2. ლe6X "0": 1. f8მ! მფh4, 2. g5X – აშამათებს ეტლი, 1..... მფh6, 2. g5X – აშამათებს პაიკი

---

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სახელოვანი ვეტერანი მოფარიკავე, 1956 წლის ოლიმპიური თამაშების კანდიდატი
კონსტანტინე (კოტე) გოგელია
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ღრმა სამძიმარს უცხადებს ფარიკაობის ფედერაციის პრეზიდენტს არჩილ გოგელიას ძმის, ვეტერანი მოფარიკავის
კონსტანტინე (კოტე) გოგელიას
გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს ფარიკაობის ფედერაცია ღრმა სამძიმარს უცხადებს ამავე ფედერაციის პრეზიდენტს არჩილ გოგელიას ძმის, ვეტერანი მოფარიკავის
კონსტანტინე (კოტე) გოგელიას
გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს ფარიკაობის ეროვნული ფედერაცია ღრმა სამძიმარს უცხადებს ვეტერან მოფარიკავეს გიორგი გოგელიას ძმის
კონსტანტინე (კოტე) გოგელიას
გარდაცვალების გამო.

---

„ლელოს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს ღრმა მწუხარებაში ვეტერან მოფარიკავეებს გიორგი და არჩილ გოგელიებს ძმის
კონსტანტინე (კოტე) გოგელიას
გარდაცვალების გამო.

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: gazeti-lelo@nm.ru